№ 5

ფასი 5 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

ყოველ-კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

კვირა, 14 ოქტომბერი. 1907 წელიწადი პირველი.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„ცისკარი“

გამოდის 1907 წ. 16 სექტემბრიდან, კვირაში ერთხელ.

ერთი წლით ღირს 3 მ., ნახევარი წლით 2 მ., ცალკე № 5 კ.

განცხადება—წინა გვერდზე სტრიქონი 10 კ. უკანასკნელზე 5 კ.

ფოსტის ადრესი: *Кутаисъ, редакція „Цискари“.*

**შინაარსი:**

ქართველი შავრაზმელი „კეთილშობილნი.“—შენიშვნები, ყარიბისა.—მუშის სიმღერა, ლექსი კან-დონისა.—ქუთაისის რამე-რუმე, ისოli.—სხვადასხვა ამბები.—ბიბლიოგრაფიული შენიშვნები. ფ. მ-ის.—ჩვენი ქალაქის თვითმართველობა, გრ. ნასარიძისა.—ჩხრეკა, იერეთელისა.—რუსეთი. უცხოეთი.

## შავრაზმელი ქართველი „კეთილშობილნი“.

როცა ხალხის მოძრაობის ტალღები მაღლა-მაღლა იყო აწეული და ყველას, თითქო განსჯის დღე დამდგარიყოს, თავ-თავისი ცოდვები თვალის წინ დაუდგათ, ჩვენი მემამულე თავად-აზნაურები, შიშის ქარით წელში მოკაკულნი, ასეთი შემპარავი, ცბიერი სიტყვებით მიმართავდენ ხოლმე მათ, ვისაც წინეთ ზიზღით „პანჭკვლიან ყაზახებს“ ეძახდენ: „ძმებო, ჩვენ ერთნი ვართ, ერთი მტერი გვყავს, ოღონდ გვიამხანაგეთ და თქვენთან ერთად თავს დავდებთო“. ასე იყო 1905 წელს, მარა აი დადგა რეაქციის ყინვები და ჩვენ „კეთილშობილთაც“ გული მოეცათ და საბრძოლველათ ემზადებიან... თავის „ძმების“ წინაამდეგ.

ამ დღეებში ქუთაისის თავად-აზნაურთა წრეებში გაავრცელეს ერთი საყურადღებო წერილი, რომელიც საუკეთესო მაჩვენებელია იმისი, თუ რა გვარი შავრაზმული აზრები ტრიალებს ქართველ „მოწინავე“ წოდების ერთ ჯგუფში. „ქუთაისის თავად-აზნაურთა დ კეთილშობილთა მოგეხსენებათ,—სწერია ამ ქაღალდში,—რომ ამ ჟამათ არსებული ჩვენ ცხოვრებაში მოძრაობა, ფრიად შესამჩნევი ხასიათისა მიმართულებით, დაფუძნდა და დამყარდა თავად-აზნაურთა და კეთილშობილთა წოდების უკიდურეს მძულვარებაზე და მის ნათელი წარსულის სასტიკ გმობაზე და უარის ყოფაზე... მარა არა მარტო ზნეობრივმა და სულიერმა მხარეებმა იჩინეს თავი, არამედ უფრო მატერიალურმა და ნივთიერმა ინტერესებმა. **მიწაწყალი, მამული და ყოველგვარი ქონება ხალხს უნდა ეკუთვნოდესო—დაადგინეს თვით უმიწაწყლო და სწავლით დასაყელებულნი ქუჩის მოწანწალები** და ჩვენს უმცროს ძმებთა შორის ქადაგებდენ სხვის ყოფა-ცხოვრების დაპყრობას ძალადობით და მტრობით... მარა აწი კმარა, საჭიროა გამოვარკვიოთ ახლანდელი ჩვენი მდგომარეობა, ავხსნათ მიზეზები ჩვენი დამცირებისა და დაჩაგვრისა და აღვიდგინოთ გალანძღული სახელი, დაფლობილი საკუთრება, ხელუხლებლობა ბინადრობისა და ღირსებისა. საჭირო არის ზემორე აღნიშნული მიზნის განსახორციელებლათ შემდეგი ხელშეკრულობა მოვახდინოთ ჩვენს შო-

რის: 1) შევფიცოთ ერთმანეთს ჩვენი სამშობლოს ერთგულობა, 2) იქნას ჩვენშორის მტკიცე კავშირი აღსადგენელათ და დასაცველათ ჩვენი დარღვეული უფლებისა, ყოველი საკუთრებისა და დაჩაგრული პირადობისა, 3) ხელუხლებელ იქნას ჩვენი ბინადრობა და დაცულ ვიქნათ იმ პირთაგან, რომელნიც სიტყვით, წერით და ბეჭდვით მოინდომებენ დარღვევას ჩვენი პირადი უფლებისას, 4) იქნას მიღებული საჭირო ზომები აღსასრულებლათ ამა ხელშეკრულებისა."

,,სამშობლოს ერთგულობა'', როგორც ყველა ქვეყნის შავრაზმელთ სჩვევიათ, მხოლოთ სიტყვის სილამაზისთვის და ჭეშმარიტ მისწრაფებათა დასამალავათ არის აქ მოტანილი. ნამდვილათ კი ერთათ-ერთ საზრუნავ საგანს შეადგენს მათთვის ეს რაღაც ,,საჭირო ზომები''. რა ზომებია ეს ზომები—სჩანს იმ ინსტრუქციიდან, რომელიც ზემოთ მოყვანილ ქაღალდთან ერთათ მისულია ერთ გავლენიან თავადს. ,,ძვირფასო კნიაზო №,— სწერია იქ,— მე გიცნობ თქვენ, როგორც კარგ გამოსადეგს, ენით დაცულს და საამხანაგო კაცს. გიგზავნი მთელი ქუთაისის თავად-აზნაურთა და კეთილშობილთათვის საჭირო საქმის ქაღალდს. რაც აქ სწერია, ეს თქვენ უნდა განახორციელოთ № მაზრაში. პირველათ ისეთ კაცებს უნდა წააკითხოთ და ხელი მოაწერინოთ, ვინც ძლიერ სანდოა. ამის პირი უნდა მისცეთ შეგნებულ კაცს და თქვენს გულითად ამხანაგს. როდესაც თითოეულ უეზდში ოცი, ოცდაათი თუ ასი, ვისაც თავმოყვარეობა აქვს, ხელს მოაწერს, მაშინ ქუთაისში შევიკრიბებით და მოვილაპარაკებთ... თოფს, იარაღს, პატრონებს, რამდენიც საჭირო იქნება, იმდენს მოგცემენ... ახლა კარგი დრო არის, არჩევნების დროს შემთხვევა გექნებათ თქვენ საზოგადოებას აჩვენოთ ეს''...

ამოწერილი ადგილები შავრაზმული მიწერ-მოწერისა ისე აშკარათ ღაღადებს, რომ ყოველივე განმარტება მეტია. ჩვენი ,,კეთილშობილნი'', ვითომდა ,,ნათელი წარსულის'' წარმომადგენელნი, იარაღს ამზადებენ იმათ წინააღმდეგ, ვინც ადამიანური არსებობა მოინდომა და იმის თქმა გაბედა, რომ ღვთის გაჩენილი მიწა-წყალი და მამული მთელ ხალხს უნდა ეკუთვნოდეს და არა მარტო მუქთა ხორებსო. ეს სამართლიანი მოთხოვნილება ,,ჭეშმარიტმა ქართველებმა'' თავის პირად დაჩაგვრათ მიიჩნიეს და აი შავ კავშირს ადგენენ იმათ წინააღმდეგ, ვისაც შარშან წინა-[illegible] ,,ძმებს'' უძახოდენ.

ეს საუცხოვო გაკვეთილია იმ ქართველ პუბლიცისტთათვის, რომლებიც მუდამ რაღაც ,,საერთო ნიადაგს'' ეძებენ.

## შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.

### II.

პატიოსანი პრესა თუ საზოგადოების სვინდისი არ არის, ამ სვინდისის მაღვიძებელი მათრახი მაინც არის.

სწორეთ ამით აიხსნება, რომ იქ, სადაც ჟურნალ-გაზეთობა არ არსებობს, სვინდისსაც ძინავს. იქ ყოველი უზნეობა და გონებრივი სიდუხჭირე თავისუფლათ, დაუსჯელათ დაფარფაშობს და დაგმობისა და გაკიცხვის ნაცვლათ, ქება-დიდებას და პატივისცემასაც კი იხვეჭს.

ჩემს ხსოვნაში მაინც, ღვთისაგან მოძულებულ ქუთაისს, არ ღირსებია არც ერთი გაზეთი, რომელსაც საზოგადოებრივი კონტროლის კისრება შეძლებოდა, საზოგადოების ცხოვრების ზედა-პირი მაინც აეჩეჩა და შიგ კრიტიკის ცხოველ-მყოფელი სხივები შეეტანა. სწორეთ ამითი უნდა აიხსნას ის სამწუხარო მოვლენა, რომ ქუთაისში, სრულიათ თავისებური, ქუთათური, ეთიკა და საზოგადო მოღვაწეობის კანონი შემუშავდა; აქ საზოგადოებრივი კონტროლი უარ-ყოფილი და განდევნილია. ვინც ერთხელ მოქცევია თავში საზოგადო საქმეს, მას თავისი ძმა-ბიჭები გარს შემოუხვევია და როგორც საზოგადოთ ასეთების წესია, კრიტიკისა და ლიტერატურული მხილების ნაცვლათ, ბალი-ალობა და ერთმანეთის ქება-დიდება სისტემათ გადაუქცევიათ. ეს ვაჟბატონები ნამდვილი საზოგადო საქმის კეთების ნაცვლათ მხოლოთ კრიტიკის უარყოფასა და განდევნას ალევენ თავის ძალ-ღონეს. ქუთაისში ისინი თითქმის ყოველთვის იმარჯვებენ, მაგრამ ასეთი გამარჯვება ხომ კრიტიკისა და საზოგადოებრივი კონტროლის დამარცხებაა, ეს ხომ ბნელეთის გმირთა გამარჯვების მომასწავებელია.

ამგვარათ, ქუთაისმა შექმნა თავისი ახალი საზოგადოებრივი სვინდისი, სრულიათ თავისებური ეთიკა. აქ იმ თავითვე დაიბადა და გაიზარდა ის ყველა, კულტურული საზოგა-

დოების მიერ უარ-ყოფილი და მხოლოთ ქუთაისში სასურველათ მიჩნეული, მცნება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადო საქმეები იჯახურათ, შინაურულათ მოაწყონ და, როგორც რუსები იტყვიან, ქოხიდან ნაგავი კარში არავის გამოატანიონ. ასეთი ყალბი შეხედულება საზოგადო საქმეთა წარმართვაში სრულიად გამეფდა ქუთაისში და საქმე იქამდე მივიდა, რომ ის თვითო-ოროლა პირებიც-კი, რომლებიც ოდესღა გულ-წრფელი და კეთილშობილი ბუნების მოღვაწეებათ მიაჩნდა ხალხს, სრულიათ გაქუთაათურდენ, ესე იგი სრულიად გადაეჩვიენ კრიტიკისა და მოქალაქობრივი მხილების საჭიროებას. ბუნებრივათ ქურდნი, ავაზაკნი და ბნელეთის გმირნი ხომ თავისუფლათ, დაუსჯელათ დათარეშობენ და ეს არის.

ამ მხრით ქუთაისი ერთათ ერთი ქალაქია მთელ კავკასიაში და ამიტომაც ახალი პატიოსანი სალიტერატურო ორგანოს დაბადება ქუთაისის ბნელ წყვდიადში დიდ საზოგადოებრივ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. სწორეთ ამიტომაც აღტაცებით ვეგებები ამხანაგურ მოწოდებას ქუთაისის იმ პატარა წრისას, რომელსაც განუძრახავს გაზეთი „ცისკრის“ საშუალებით ანგარიში გაუწიოს ამ დიდი ხნიდან გაბატონებულ ბოროტებას.

რომ მკითხველმა გადაჭარბებულათ არ მიიღოს ჩემი დღევანდელი „შენიშვნების“ ასეთი შესავალი და ტრაბახობაში არ ჩამომართვას, უმჯობესია თვითონ ფაქტები ავალაპარაკოთ. ამ დროებით ჩემი აზრის დასასურათებლათ სრულიათ საკმაო მასალას მოგვცემს ჭიათურის მარგანეცის მწარმოებელთა სიეზდის საბჭო, რომელიც, სამწუხაროთ, ინვალიდების სა[illegible]ლის უფრო წააგავს, ვიდრე ცოცხალ საზოგადოების დაწესებულებას.

წასულ ზაფხულს, ჩემდა სავალალოთ, გარემოებამ ორიოდე დღით ქუთაისში მიმიყვანა. ამ დროს იქ ჭიათურის მარგანეცის მწარმოებელთა სიეზდის კრებები იმართებოდა და მეც ერთ კრებას დავესწარი. მაგრამ რაც ამ ერთათ ერთ კრებაზე ჩემი თვალით ვნახე და გავიგონე, ის ჯერ მთელ ჩემ სიცოცხლეში არ მენახა და არც გამეგონა. ეს ერთი კრება სრულიათ საკმაო იყო, რომ ადგილობრივი, ნამდვილი ქუთათური სვინდისი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით გამეცნო.

როგორც ყოველგან, ქუთაისის საზოგადო მოღვაწეთაც აქვთ თავისი ორგანიზაცია. მაგრამ საქმე ის არის, რომ არსად ისე ჭკვიანურათ და გონიერათ არ იციან ბრძოლა ოპოზიციის წინააღმდეგ, როგორც ეს ქუთაისის „მოღვაწეებს“ სცოდნიათ. ამ ვაჟბატონებს ნამდვილი შეხედულება შეუმუშავებიათ ოპოზიციაზე: ისინი სრულიათ სამართლიანათ მიმხვდარან, რომ, როცა ქუჩაში ძაღლები ყეფას აგიტეხენ, თუ მათი დაწყნარება გინდა, ქვა კი არ უნდა აიღო ხელში და არ უნდა აღიზიანო ისინი, პირიქით ყურადღება არ უნდა მიაქციო, ხმა არ უნდა გასცე. სწორეთ ეს კრილოვის მიერ ნაანდერძევი სიბრძნე ისე ვერსად ვერ გაუყვანიათ ცხოვრებაში, როგორც ქუთაისში.

მომისმინეთ, თუ თქვენც არ დამეთანხმოთ ამაზე.

ოპოზიციის ორატორი წამოდგა და ბ. გამრეკელს, წევრს ჭიათურის მარგანეცის მწარმოებელთა სიეზდის საბჭოსას, წამოუყენა ასეთი ბრალდება:

— მოწყალეო ხელმწიფევ! თქვენ ამა და ამ მუშას, რომელიც მაღაროებში დაშავდა და რომელსაც სიეზდის საბჭოსაგან ამდენი და ამდენი ფული უნდა მიეღო ჯილდოთ, გამოუცხადეთ, რომ ის ვერ მიიღებს ერთ კაპეიკსაც, თუ ამ ფულების ნახევარს თქვენ არ მოგცემს. გაჭირვებაში ჩავარდნილი მუშაც იძულებული გახდა, რომ თქვენი შანტაჟისტური სურვილი დაეკმაყოფილებია და თავისი უკანასკნელი საზრდოს ნახევარი თქვენთვის მიეცა...

ამ სიტყვებს ყოველგან და ყოველ საზოგადოებაში დიდი აურ-ზაური უნდა მოეხდინა და მე რომ იმერეთის ამბავი ვიცოდი, მეგონა —საქმე უს-სხლოთ არ გათავდება-მეთქი. მაგრამ ამ სიტყვებს სრულიად არაფერი ეფექტი არ მოუხდენია. იმ „საზოგადო მოღვაწეს“, რომელსაც ასეთის სიტყვებით მიმართეს, წარბიც კი არ შეუხრია: ის ისე იჯდა თავის ალაგას თითქო თავზე ბუზიც კი არ გადაფრენია. მარა უფრო საყურადღებო ის არის, რომ არა თუ თვით ბ. გამრეკელი არ აუღელვებია მის წინააღმდეგ ასეთ გამოლაშქრებას, ამას არც დამსწრეთა უმეტესობაში გამოუწვევია დიდი მითქმა-მოთქმა და კეთილშობილური აღელვება. უმეტესობის სახეზე ცხადათ წაიკითხავდით გაკიცხვას ახალგაზრდა ორატორისადმი, თითქო მისთვის იმისი თქმა უნდოდათ, რომ ცხოვრება ბრძოლაა და თუ ადამიანს ასეთი პატარა და უმნიშვნელო საქმე არ ვა-

პატივეთ, ჩვენ ყველანი ხო დასახჩობი ვიქნებითო.

რათ მოხთა ეს ასე? ასეთი ინცინდენტი თვით დინჯ და აუჩქარებელ თბილისშიაც კი უსისხლოთ არ გათავდებოდა და რატომ „კვირცხლმა და თავ-მოყვარე“ იმერელმა პასუხიც არ გასცა თავის მამტყუნებელს? რატომ თვით დამსწრეთ არ მოთხოვეს მას პასუხი? იქნება დამსწრეთა უმეტესობამ მოიგონეს ქრისტეს სიტყვები: მან, ვინც უცოდველია, ესროლოს დამნაშავეს პირველი ქვაო. მაგრამ ასეთი უცოდველები ხო არც თბილისში არ არიან? ამ კითხვებზე მხოლოთ ერთათ-ერთი პასუხი შეიძლება; ეს იმიტომ მოხდა, რომ ქუთათურები არ არიან მიჩვეულნი საზოგადოებრივ კრიტიკას. ის, რაც სხვაგან საშინელ ბრალდებას ეძახიან, აქ მხოლოდ უბრალო, სამუსაიფო მასალათ მიაჩნიათ.

რაკი ბ. გამრეკელი ნამდვილი გმირი გამოდგა და ასეთი ბრალდებისთვის მან წარბიც არ შეიხარა, მე უნებურათ მივაჩერდი იმ ადგილს, სადაც ბ. გ. ზდანოვიჩი იჯდა. ამ კაცზე ბევრი ცუდი წამიკითხავს და გამიგონია; მეც ზოგჯერ კიდეც მიწერია მის წინააღმდეგ, მაგრამ მისი ყმაწვილობის წარსულის მიხედვით, მისდამი პატივისცემა სადღაც გულის სიღრმეში ჩამრჩენია. გამოვტყდები, რომ ვერ შევრიგებოდი იმ აზრს, რომ ისიც ქუთაისის მეტიჩარა ინტელიგენტებს, რომელთანაც ცხოვრება მას ბედმა არგუნა, დაემზგავსებოდა. ამიტომაც სრული უფლება მქონდა მეფიქრა, რომ ის კეთილშობილურის აღშფოთებით ეცდებოდა ამ საქმის გამომზეურებას და მით დამნაშავეს კიცხვის ბოძზე მიაკრავდა. მე სრული დარწმუნებული ვიყავი, რომ ის, როგორც მოქალაქე და როგორც სიეზდის საბჭოს თავმჯდომარე ზე აიჭრებოდა და ბ. გამრეკელს მოთხოვდა საზოგადოების წინაშე თავის მართლებას. ეს მით უფრო მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენს დროში, როცა საუკუნოებით დაძინებულმა საზოგადო აზრმა უკვე დიდებულათ გაიღვიძა, თვით რუსეთის პოლიციაც კი საჭიროთ თვლის ამ საზოგადოებრივ აზრს ანგარიში გაუწიოს და ბრალდებიდან თავი იმართლოს; გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ასეთი ბრალდება, რომ პოლიციის რომელიმე პრისტავის თანაშემწის წინააღმდეგ წამოეყენებია გაზეთებს, თვით სტოლიპინი საჭიროთ დაინახავდა სახელმწიფო-დუმაში ეს ბრალდება უარ ეყო და ჭეშმარიტება დაეცვა, რასაკვირველია, თავისებურათ..

ბ. ზდანოვიჩს რა მოუვიდა, რომ ყურიც არ გაიბერტყა? ის ხომ ძალიან მაღლა აყენებს საზოგადოებრივ აზრს? ის ხომ ერთდროს თავ გამოდებით ემსახურებოდა ყოველ საქმეში საზოგადოებრივი კონტროლის შეტანის საქმეს? ან იქნება „წარვიდენ დრონი ნაქებნი მტკბარათ!“

ან შეიძლება მან უფრო კარგათ იცოდა ამ საქმის ნამდვილი გარემოება და ახალგაზრდა ორატორის სიტყვები მას მისი თანამოსამსახურის გამრეკელისადმი უბრალო ცილის წამებათ მოეჩვენა? თუ ეს ასეა, ის მაშინ კიდევ უფრო უნდა გამოსარჩლებოდა ცილის წამების ნელცეცხლზე დამწვარ თავის თანამოძმეს დავიჯეროთ, რომ ახალგაზდა ორატორი ცილის მწამებელი იყო მაგრამ ეგ ფაქტი ხო უფრო ადრე თფილისის ერთ-ერთ ქართულ გაზეთში იყო აღნიშნული ჭიათურელ კორესპოდენტ ივანიკას მიერ? მაშ რატომ საზოგადოებამ ვერ გაიგო ნამდვილი გარემოება ამ საქმისა?

მაგრამ რას იზამთ, როცა ასეთია ქუთაისის საზოგადოებრივი ატმოსფერა, როცა იქ ყველასა სწამს, რომ ეს ვიღაც მეტიჩარა კრიტიკოსები იყეფებენ, იყეფებენ, ბოლოს მოსწყინდებათ და გაჩუმდებიან და საზოგადოებას კი აბა სად შეუძლია დაიხსომოს, თუ ბ. კამრეკელმა ვის რამდენი დასცინცლა, ვინ სად მოატყუილა და სხვა...

რას იზამთ, როცა ასეთია საზოგადოებრივი ეთიკა ქუთაისის „საზოგადო მოღვაწეთა“ და ინტელიგენციისა, იმ ინტელიგენციისა, რომლის უმეტესობასაც რუსეთიდან დიპლომების ჩამოტანა კი მოუხერხებია, მარა სამაგიეროთ საზოგადოებრივი განვითარება, მოქალაქეობა და კეთილშობილური გატაცება იქ, რუსეთს ცივ-ქვეყნებში, დაუტევებია.

ღვთის წინაშე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მეტაფიზიკური ღირსებები მეტი ბარგიც არის ამ ჯურის ინტელიგენციისთვის; ყოველ ამათ ნაცვლათ, მათთვის სრულიათ საკმაოა ზეპირათ იცოდეს და წამდაუწუმ პატრიოტიურათ იმეორებდეს:

„მე ქართველი ვარ, ჩემი სამშობლო ორ ზღვათ შუა გადაჭიმულიო“.

დღეს ეს ისეთი რეკომენდაციაა, რომელიც საქართველოს ყოველ დაწესებულებაში გაუღებს მათ კარებს და აქედან ხომ საზოგადო

მოღვაწეთ გადაქცევამდე დიდი მანძილი არ არის.

ყარიბი.

## მუშის სიმღერა.

შხამ სამსალით შეზავებულ
წუთისოფლის ობოლ სტუმარს,
გულ დაკოდილ-დაწყლულებულს,
ლონე მიხდილს და ცოცხალ-მკვდარს,—
მარად, ყველგან, ყოველ წამში
თვალ წინ მიდგას განთიადი:
გაუმარჯოს მის ნეტარ სხივს,
ძირს სიბნელე, ძირს წყვდიადი!
უიმედოს, შუბლ-დაღარულს,
ღარიბ-ღატაკს, შიშველ-ტიტველს,
არ რის მქონეს, მთლად ბოგანოს,
დამუნჯებულს, ვერაფრის მთქმელს,—
მარად, ყველგან, ყოველ წამში
თვალ წინ მიდგას განთიადი:
გაუმარჯოს მის ნეტარ სხივს,
ძირს სიბნელე ძირს წყვდიადი!
უპატრონოს, უნუგეშოს,
ცხოვრებისგან დაჩაგრულსა,
ოხერ-ტიალს, მძიმე შრომით
წელში ორად მოკაკულსა,—
ტკბილ ჟრუოლას მგვრის, გულს მიტოკებს,—
გრძნობას მიტკბობს განთიადი:
გაუმარჯოს მაშ მის სხივებს,
ძირს სიბნელე, ძირს წყვდიადი!
და მარადის, სანამ მიდგას
ძარღვში სისხლი, პირში სული,
ვიდრე ცოცხალ, ტანჯულთათვის
მწარეთ მიფეთქს მკერდს ქვეშ გული,—
თაყვანსა ვსცემ, გუნდრუკს ვუკმევ,
დავედები მტლად განთიადს;
წყევა-კრულვას, შეჩვენებას
წავუმგზავრებ ბნელეთ-წყვდიადს.

კან-დონ.

## ქუთაისის რამე-რუმე.

(ქალაქის საქმეების გამო).

8 ოკტომბრის ქალაქის საბჭოს კრებაზე ხმოსანთა არა ჩვეულებრივ რიცხვს მოეყარა თავი. ამის შემხედვარე იფიქრებდი, რომ იმდღეინდელ კრებას ან რაღაც საფარსაგო საქმე აქვს გასარჩევი, ან კიდევ საკენჭო საკითხებია გადასაწყვეტიო. ხსენებულ კრებაზე თუ გნებავთ, ერთიც იყო და მეორეც, და აი ამისათვის გარჯილიყვენ ისეთი ხმოსნებიც კი, რომლებიც დიდიდან ხმოსნობის ტიტულის მიღებისა, მხოლოთ 8 ოკტ. დავინახეთ საბჭოს კრებაზე. კრებას თავმჯდომარეობდა ქალაქის თავის ახალი მოადგილე იაკობ ფანცხავა, რომელსაც, ეტყობ, სერიოზულ საქმის დროს ხუმრობა ნერვებს უშლის და აჯავრებს; ეს კი სალორიის ტყის საკითხის გარჩევის დროს ერთი ხმოსნის ოხუნჯობამ გამოაშკარავა და ამის გამო მან მოკლე დარიგება წაუკითხა მოოხუნჯეთ.

პირველათ 8 ოკტ. კრებაზე წარმოდგა წინა კრებაზე ხმოსნის ბ. მოსეშვილის მიერ აღძრული საკითხი **ხორცზე ნიხრის დაკლების შესახებ**. ქალაქს გამგეობის მიერ შეკრებილ და საბაზრო კომისიის მიერ დადასტურებულ ცნობებით აღმოჩნდა, რომ საკლავი საქონელი დღესდღეობით ძალიან იაფი ყოფილა და ამიტომ საჭიროთ დაინახა გამგეობასა და კომისიასაც ხორცის ნიხრს დაკლებოდა. ხმოსნებსაც ამაზე ბევრი აღარ უდავნიათ, ისე მიიღეს მათი მოხსენება და დაადგინეს შემდეგი ნიხრი: მორეკილი საქონლის (ე. ი. სხვა გუბერნიებიდან ჩამორეკილის, რაკი ცნობილია ქუთაისის გუბერნიაში უსაკვებობის გამო საკლავი საქონელი ძალიან ცოტაა) 1 ხარისხის ხორცზე დ ნიშნეს 11 კაპ., 2-ესაზე—10 კაპ., ხოლო ადგილობრივ საქონლის ხორცი ღირს 1 ხარისხი—9 კაპ., 2-რე—8 კ., ძუძუმწოვარ ხბოს ხორცი გირვანქა 12 კ., ცხვრის და მოზდილი ხბოსი 11 კ., სუკი—18 კ., ღორის ხორცი—10 კ. და კამეჩის—6 კაპ.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ აქაც, როგორც პურის ცხობის საქმეში, მეყასბეების თავგასულობას საზღვარი არ აქვსო, განაცხადა ხმოსანმა ივ. პურადოვმა. ისინი მეორე ხარისხის ხორცს პირველათ ყიდიან, კამეჩისას—ძროხისათ, ადგილობრივ მჭლე საქონლის ხორცს მორეკილის ალაგას და რაც უნდა ევედროთ, ეხვეწოთ 3 გირვანქა ხორცში ერთ მესამედზე მეტს ეგრეთ წოდებულ „დავესკათ“ ძვალსა და ნაყარ ხორცს დაგიწონისთ. აი ამაებსაც უნდა ყურადღება მიაქციოს უპრავამო, დაამთავრა ამხელათ რეპლიკებით მოლაპარაკე ხმოსანმა.

მეორე საკითხათ დაყენებული იყო სალორიაზე მდებარე ქალაქის ადგილების საქმე. ამ ადგილების მოწესრიგება, მათით ჯეროვნათ სარგებლობა „ქალაქის მამებს“ ძალიან გვიან გაახსენდა. იქ დღემდი ძალით თუ ნებით მრავალი ჩაესახლა, ასე რომ ამ ადგილს თფილელებივით თამამათ შეგვიძლია უწოდოთ „**ნაშალადევი**“. იქ დღემდი არც პლანის აღებას ჩიოდა ჩასახლებული, არც მომავალში საქუჩე, საბაღე და სხვა ქალაქის საჭირო

ეროვნული

ადგილებისთვის დატოვებაზე ფიქრობდა ვინმე ისე ესახლებოდენ ლამ-ლამობითაც, რაც ხშირი პრაქტიკაა იმერეთში საკუთრების დაუფლებისა. იქ დღემდი დასახლება სრულიად უსისტემოთ წარმოებდა ქალაქის სრულიად უყურადღებობის გამო და ამნაირათ ეს შვენიერი მაღლობი, თვალსაჩინო კუთხე ქალაქისა, რომელსაც საუკეთესო მომავალი აქვს, რადგან იგი სადგურის გარშემოა და გაზდაც აქეთკენ მოელის ქალაქს, რაკი რაჭა-ლეჩხუმის მომავალი რკინის გზის სადგურიც აქ იქნება და მაშასადამე მიწებსაც ფასი დაედება.

ამ უსისტემობას კრებაზე ხმოსან დ. ნაზაროვმა მიაქცია ყურადღება და აწერა რაც უმზგავსო ამბები ხდებოდა დღემდი. ხმოსანმა პურადოვმა ამას ისიც დაუმატა, რომ იქაურ მამულების ზედამხედველს აგერ თითქმის 1200 მან. ვაძლევთ, „почему онъ не наблюдаетъ и не принимаетъ мѣръ противъ тѣхъ безобразій, о которыхъ намъ разсказываетъ д-ръ Назаровъ". ამაზე ქალაქის თავის მოადგილემ მოჭრით მოახსენა ზემორე უწესოების დამდასტურებელი, что такія, а можетъ быть, хуже безобразія и неправильности и внутри города, въ центрѣ творятся, но что же прикажете дѣлать". და მართლაც ეს საბედისწერო კითხვა „что дѣлать" დიდი ხანია, ყველასაგან ისმის ლიტერატურაში და ვერავისგან ვერ წყდება პრაქტიკულ ცხოვრებაშიაც.

ეს იყო სალორიის ადგილებში დასახლების და საიჯაროზე ფასების საკითხი, ხოლო სალორიის მამულზე კიდევ მეტი ბაასი და დავა გამოიწვია სალორიის ტყის საქმის მოწესრიგებამ. ეს საკითხი ხმოსნებმა იმდენათ სერიოზულათ იცნეს, რომ მიუხედავათ გამგეობის გადაჭრილ მოხსენებისა ეს ტყე (შიგ სულმუხაა) გაიჭრას და მიგ მაგიერათ აკაციის, ეკლის ხის ტყე გაშენდესო, საკითხი სავსებით გამოურკვევლათ სცნო და ამოირჩია ახალი კომისია (ბ. მოსეშვილი, მ. დარახველიძე, ი. ჩიმაკაძე, ვ. ძოწონიძე და ტ. გველესიანისაგან) და მიანდო მათ ეს საკითხი ადგილობრივათ შეისწავლონ, მოიწვიონ (ჯილდოთი) სპეციალისტები და ერთი თვის განმავლობაში მოახსენონ საბჭოს ყოველივე გარემოება. დაწვრილებით ამ საქმის გარემოებას მკითხველს ჩვენც მაშინ გავაცნობთ, რადგან მას ქუთაისის ქალაქის კეთილდღეობისათვის რა მხრივათაც უნდა ავიღოთ, საპატიო ადგილი უჭირავს და რაკი ქალაქს მის მოწესრიგების, სარგებლობის საქმეში მეურნეობის ახალნაირი წარმოება უნდა შემოიღოს, საჭიროა იგი ამთავითვე სერიოზულათ, მოფიქრებულათ გადაწყდეს, რათა მერმინდელ ქალაქის მამებს არ მოუხდესთ ახლანდელთა შეცდომების „ბაჩინკობა". ეს მით უფრო საჭიროა, რომ დღეს თუ ხვალ იქ, ამ სალორიის ტყეში ქალაქის საავათმყოფო უნდა აშენდეს და მაშ ტყეს ძალიან სიფთხილით უნდა მოექცენ; რათა მერე გაფხეკილი ხრიოკი არ შერჩესთ ხელში.

ამიტომ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს კომისიამ, რაც უნდა დაუჯდეს, საიდგანმა უნდა მოიწვიოს კარგათ გამოცდილი მეურნე, ტყის საქმის მცოდნე და თავიანთი პრაქტიკული გამოცდილებანი მის თეორეტიულ-პრაქტიკულ მოსაზრებებს შეუფარდონ და ისე გადაწყვიტონ ეს სამომავლო საკითხი. უპრავის წევრის, ამ საკითხის მომხსენებელის კ. ბაქრაძის მიერ ამ კრებაზე, აჩქარებულათ მისი გადაწყვეტა მოსაწონი არ იყო მიუხედავათ იმისა, რომ იგი ირწმუნებოდა, ეს საკითხი ყოველმხრივ შევისწავლეთ და ტყის საქმეების მცოდნე ბ ვერმიშევიც მის გამორკვევაში გვყავდაო.

არა ნაკლები კამათი გამოიწვია 8 ოქტ. კრებაზე უპრავის მოხსენებამ ქალაქის თვითმართველობისათვის ახალი ბინის დაქირავების შესახებ. ქალაქის გამგეობა აგერ მეშვიდე წელიწადია თავის საკუთარ ხარაზოვისეულ სახლში ცხოვრობდა. ამ ხნის განმავლობაში იგი მხოლოთ დღეს დარწმუნებულა, რომ თავის საკუთარ სახლის ძირა სართულში მას ცხოვრება არ შეუძლია. ასე გასინჯეთ ეს შეუძლებლობა დღეს იქამდი მისულა, რომ გამგეობას საბჭოს დაუკითხავათ, ექვსი თვის წინეთ, მიუტოვებია თავის ნესტიანი სახლი და იქვე უპატრონოთ დარჩენილი, შარშანწინ სოც.-დემოკრატების კლუბათ გადაკეთებულ ვინმე ბერძნის შენობაში გადა'ულან. ეს გარემოება გამგეობას იმ დღინდელ კრებაზე ხმოსნებმა დანაშაულობათ ჩაუთვალეს და პასუხს ითხოვდენ, თუმცა ეს ბოლოს მიფუჩეჩდა. ბოროტი ენები ლაპარაკობენ, რომ აქ იმ ანგარიშით გადვიდენ, რომ მასზე ფლობელობა გამოეცხადებიათო.

დღეს გამგეობას დაუნახავს, რომ მისთვის ეს სახლიც გამოუსადეგარია, რადგან ვერ ეტევა, სივიწროვეა და მისი მომატებაც შეუძლებელიაო. მას თავის შესაფერისათ სამართლიანათ აურჩევია ქუთაისის საურთიერთო ბანკის სახლი *). ეს კი ქუთაისში, მართლაც ერთი საუკეთესო თვალსაჩინო შენობათაგანია და კიდეც შესაფერია ქალაქის თვითმართველობისათვის. მისი უშველებელი

*) ეს ბანკი დღეს ვაჭრების დაყინებით ნაქირავებ ი. გველესიანის შენობაში გადვიდა ბულვრის ბოლოს იმ მოსაზრებით, რომ აქ ფულები ახლოს ექნებათ შესატანი და გზაში არავინ წაართმევსთ.

ზალის დამადარი ქუთაისში არა მოიპოება. ტყვილა კი არ მოიპოვა მოხუც კირილე ლორთქიფანიძემ მისი აშენებით არქიტექტორის სახელი. მის უპირატესობას აგვირგვინებს მისი ცენტრალური მდებიარეობაც ბალახვანის და პუშკინის საუკეთესო ქუჩებზე.

ამ საკითხმა ორათ გაყო ხმოსნები: ერთნი (ვაჭრები) და ორიოდე ინტელიგენტიც დაჟინებით ამტკიცებდენ, რომ ქალაქის თვითმართველობისათვის მისი საკუთარი სახლი გამოუდეგარია, იქ ცხოვრება არ შეიძლება, იგი მაღაზიებათ უნდა გადაკეთდეს, რაც იმაზე მეტს თუ არა, იმდენ ქირას მაინც შამოიტანს, რამდენიც საქირავებელ სახლში დაიხარჯება. ინტელიგენტები კი წინაალმდეგს ამბობდენ. ჩვენ სახლს რემონტი უყოთ და ისევ იქ გადვიდეთ, თორემ 2000 მ. ქირა ჩვენი ცარიელი კასისათვის ძლიერ საგრძნობელი იქნება, ამდენს ჩვენ მაღაზიებში ვერ ავიღებთო. ამის მომსმენმა ექ. ბ-ნაზაროვმა ვეღარ მოითმინა და თქვა, მაკვირვებს ამ საქმეში წინაალმდეგობა: ამდენ ქირას უპრავა ყოველთვის იხდიდა სახლში სანამ თავისას არ შეიძენდა და სამაგიეროთ გაცილებით უარეს სახლებში იდგა. დღეს კი ამისთანა მშვენიერი შენობა არის ქალაქში და თქვენ არ გინდათ, რომ იქ ისეთი დაწესებულება მოვათავსოთ, როგორიც ქალაქის თვითმართველობაა, რომლის დიდებული ზალა შეიძლება სხვა რამეებშიაც გამოვიყენოთ, მაგ. იქ შეიძლება საზოგადო კრებები, ლექციები გავმართოთ, მან სახალხო სახლის მაგიერობა გაგვიწიოსო და სხ. მისთ. კამათმა გამოარკვია ამ სახლის ქირაობა ხმოსნების დიდი უმრავლესობის ხმით—25 თეთრი 8-ის წინაალმდეგ. საკვირველი იყო ამ საკითხში ინტელიგენტების წინაალმდეგობა ქალაქის კასის მომჭირნეობის საბუთით.

ქალაქის გამგეობას თავისი ცალიერი კასის გასაბარაქიანებლათ წამოეყენებია 8 ოკტ. კრებაზე საკითხი იმის შესახებ, რომ მოემატოს $^{0}/_{0}\%$ (სარგებელი) მამულების დაფასებისაგან შემდგარ იმ ,,ნედოიმკებს'', (ვალებს) რომლებიც მცხოვრებლებზეა დარჩენილი და არ იხდიან, ეგებ ამან მაინც დააჩქარებინოს მათ შამოტანაო. დღემდი პენი ამგვარ ვალებისა იყო თვიურათ მანეთზე ნახევარი კაპ., დღეს კი უპრავა შუამდგომლობდა კაპიკათ გაეხადათ იგი. ეს პლუტოკრატიის წარმომადგენელ ხმოსნებმა არაფრის გულისათვის არ მიიღეს, რადგან მათ კარგათ იციან, რომ ეს გადასახადი უმეტეს შემთხვევაში ისევ მათ დააწვებათ და თავიანთ თავს აბა როგორ უორცელებდენ.

ცნობილია, რომ ქალაქის გადასახადს ეგრეთწოდებულ „ОЦѢНОЧНЫЙ СБОРЪ"-ს ყველაზე გამჭვრებით და ზანტათ მცხოვრებთა შემძლე ნაწილი იხდის. ქუთაისშიც ამ მოვლენას საკმაოთ გაუდგამს ფესვები. ასე რომ აქაც 200, 300, 400 მან. ნედოიმკებათ სულ მდიდრებზე არის დარჩენილი და არ იხდიან. ამის სტატისტიკა საინტერესოა, მარა მას სხვა უფრო მოხდენილ დროს შევეხებით და აღვნიშნავთ რომ ღარიბი, დაბიო ხალხი, უფრო პირიანი გადამხდელია, თუ მდიდრები, რომელნიც მათ ქალაქის საქმეებში აპეკუნობენ დღევანდელ ამორჩევითი სისტემის წყალობით.

დაბოლოს, გამგეობამ მოახსენა კრებას, რომ ქალაქის აფთიაქში გვყავდა 5 შეგირდი ფარმაცევტებათ, რომელთაც საგუბერნიო ექიმ სერგეენკომ ცირკულიარული მიწერილობით თავი გაანებებინა სასახურს, სამ წელიწადს იქით უფლება არ გაქვთ იმსახუროთო. ხმოსნებს ასეთი ცირკულიარი ქუთათური ექიმისა ეუცხოვათ და ყველა სადაც დარჩა. ეს რას გვიქვია! როგორ თუ ჩვენ მოსამსახურეებს სხვა, გარეშე ვინმე ითხოვს; გამოვესარჩლოთ მათ ამაზეო და ხმოსნების გამოსარჩლება ლამაზი სიტყვების ლაპარაკით დამთავრდა. როცა საქმე კენჭებზე მიდგა, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო ამ უსამართლოთ (ჯერჯერობით მაინც მხოლოთ ის აიხსნა, რომ სერგეენკოს რაღაც იდუმალ საბუთებით უხელმძღვანილნია ამათ დათხოვნაში, რადგან საერთო არც კანონია ისეთი, რომ ფარმაცევტ-შეგირდს 3 წლის მეტი სამსახური არ შეუძლია და, რამდენათაც ვიცით, არც ახალი ცირკულიარი) დათხოვნილ ფარმაცევტების შუამდგომლობა ერთდროულ დახმარების შესახებ, რადგან მათ სწავლის გაგრძობა განუძრახავთ, ამაზე 17 ხმოსანმა 30-ში უარი უთხრა მათ. აი ამისთანაობაზე უთქვამს ბრძნულ პოეტს: ,,სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზვარი''-ო და მართლაც რომ დიდი ,,ზვარი'' ძევს ჩვენებურ მოღვაწეთა საქმესა და სიტყვას შორის.

ილო.

---

## სხვადასხვა ამბები.

**ᴥ არჩევნები.** დღეს, 14 ოკტომბერს, დღის 2 საათზე, ქუთაისის ოლქის სასამართლოს სადგომში, მოხდება არჩევნები სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატისა. ს. დ. კანდიდატია—ევგენი გეგეჭკორი.

ᴥ 12 ოქტ. ბულვარის გვერდით საბაევის და ფილიპოვის მაღაზიის წინ შუაგულ წელში რევოლვერის დარტყმით იქვე სული გაანთხევინეს მაზრის სამართველოში მოსამსახურე ალექსი **მუხერიძეს,**

რომელიც იმწამსვე გოროდოვებმა, რადგან სხვამ არავინ ხელი არ მოკიდა, ეტლში ჩააგდეს და პოლიციაში მიიყვანეს, მარა იქ რაკი მკვდარი არ ჩაიბარეს, იმათვე იგი პატრონს მიგვარეს. ამბობენ მას სულ ამ მოკლე ხანში დაუწყია ენატანიობა ვისთაც ჯერ იყო და მისი მსხვერპლნი დღეს ბევრი ზის ციხეშიო და ბევრიც თურმე მისგან დაიღუპოდაო.

11 ოქტომბერს თფილისიდან ღამით მომავალ მატარებელს, ბელაგორსა და მოლითს შუა, თავს დასხმია ოცდაათამდე შეიარაღებული ყაჩაღი. მაშინისტისათვის უთქვამთ, ადგილიდან არ დაიძრაო, და გაუჩერებიათ მატარებელი. შემდეგ აუტეხიათ სროლა იმ ვაგონისათვის, სადაც ფულების მოყარაულე სალდათები ისხდენ. შეშინებული ხალხი ვაგონების იატაკზე, სკამებ ქვეშ. შემძვრალან და ვერავის შველა ვერ გაუბედნია ისევ სალდათები სანამ, თურმე, პატრონები, ყოფნიათ ისროდენ ბერდანკებს, მარა მხოლოთ ერთი თავდამსხმელთაგანი აღმოჩენილა მკვდარი. ბოლოს მაინც თავდამსხმელებს მეტი აღმოჩენიათ პატრონები და ოთხი სალდათი სასიკვდილოთ დაუჭრიათ, წაურთმევიათ იარაღი, შეცვინულან ფოსტის ვაგონში და რაც იქ ფული ყოფილა ტომრებით და ჩანთებით, ამბობენ, 250.000 მან., არხეინად გამოუტანიათ და გადგომიან ტყისკენ გზას. ერთი საათის შემდეგ მოურბენია ბელაგორიდან პრისტავს სტრაჟნიკებით, მარა მას იქ ვაგონებში მიჩქმალული „პასაჟირების“ მეტი ვერავინ უნახავს, თუმცა ახლო-მახლო ჩირგვებში ძებნის დროს წატყდომიან სამიოდე ბომბას, რომელიც დიდის სიფრთხილით, რასაკვირველია, დაუტუსაღებიათ, როგორც ამ თავდასხმის „вещественное доказательство.“ ამ ამბის დამსწრემ გვიამბო, რომ ისეთი სროლა იყო, როგორც მხოლოთ ხელჩართულ ომში მოხდება ხოლმეო. ფოსტის და სალდათების საყარაულო ვაგონის კედლები სულ ცხრილივით არის დახვრეტილიო. დანამდვილებით არავინ იცის რამდენია ფული წაღებული. თავდამსხმელთაგანი ჯერ არავინ დაუჭერიათ.

**შანტაჟისტთა სამართალი.** ამ დღეებში ვიღაც შანტაჟისტებმა მეიერ ელიგულაშვილს განუცხადეს, სამედიატორო სამართალში გაყევი რაფიელა ელიგულაშვილს სამაჭანკლოსა და დუქნის დაცლის საქმეზეო, თორემ სასტიკათ დასჯებითო.

ნაძალადევი სამედიატორო სამართალი აშკარა შეუსაბამობაა, და დროა ბოლო მოეღოს ასეთ დაშინებას.

**მოკრივე მასწავლებელი.** ჩვენ კაი ხანია ვიცოდით, რომ ბ-ნი ს ი ლ ო ვ ა ნ  ხ უ ნ დ ა ძ ე, როცა მოწაფეებზე გული მოუვიდოდა, მაგარ-მაგარი სიტყვების ხმარებას არ ერიდებოდა, როგორიცაა, მაგ., „подлецъ“. „мерзавецъ“ „негодяй“ და სხვა. მარა თუ ბ-ნმა სილოვანმა კრივიც იცოდა, ეს კი ძნელი დასაჯერებელი იყო. 12 ოქტომბერს, სათავადაზნაურო თავისუფალ გიმნაზიაში. ბ-ნმა სილოვანმა თვალი მოკრა მ ე რ ვ ე  კ ლ ა ს ი ს მოწაფეს გრ. კ—ძეს, რომელიც თურმე ფორმის ქუდს კი არა, უბრალოს ატარებს.

— როგორ ბედავ, რომ ფორმის ქუდს არ იხურავ? უყვირა უკიდურესმა სოციალისტ-ფორმალისტმა ბ-ნმა სილოვანმა.

— ინსპექტორმა დაგვრთო ნებაო, უპასუხა მოწაფემ.

— სტყუი, შე მამაძაღლო, შე გასივებულოო, ყვიროდა სილოვანი და თანაც ჯერ ერთი სთხლიშა მოწაფეს და მერე ხელი სტაცა და ჯანჯღალი დაუწყო

შეიქნა მიწევ-მოწევა.

ამის შემდეგ სილოვანი მივარდა ერთ მესწავლებელს, რომლის პარტიული მიმართულება მას არ მოსწონს, და ახლა იმას დაუწყო ლანძღვა: თქვენ გარყვენით ახალგაზდობაო, და სხვა ამისთანები.

ბ-ნ სილოვან ხუნდაძის უკადრის საქციელის შესახებ მერვე კლასის ყველა მოწაფეებმა დაადგინეს:

1) მოეთხოვოს პედაგოგიურ საბჭოს, რომ ხუნდაძე გადაყენებულ იქნეს ინსპექტორის თანაშემწის თანამდებობიდან,

2) მოეთხოვოს ხუნდაძეს, რომ მან ბოდიში მოიხადოს შეურაცხყოფილ გრ. კ—ძის წინაშე ანა და სამედიატორო სამართალში გაყვეს მას.

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

(ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია თფილისი, 1907 წ., გვ. 110, ფასი 40 კ.)

ამ ცოტა ხანში ქართულ ენაზე დაისტამბა ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის წიგნი: „საქართველოს ეკონომიური ისტორია“. დასახელებული წიგნის საგანი იმდენათ საინტერესოა, რომ ეს წიგნი უეჭველათ მიიპყრობს მკითხველი საზოგადოების ყურადღებას. ამიტომ საჭიროთ მივვაჩნია ორიოდე სიტყვა ვთქვათ ბ-ნ ჯავახიშვილის შრომის შესახებ.

ამ უკანასკნელ დროს ბ-მა ჯავახიშვილმა რამდენიმე ნაწერი გამოაქვეყნა, როგორც ცალკე წიგნებში, ისე ჟურნალ-გაზეთებშიაც, როგორც ქართულ—ისე რუსულ ენაზე. სამწუხაროთ, არც ერთი მისი ნაწერი, გარდა იმ ნაწერისა, რომლის სათაური ზევით მოვიყვანეთ, ჩვენ შემთხვევა არ გვქონდა გაგვეცნო. ბ. ჯავახიშვილის ნაწერების შესახებ აქ ჩვენ შეგვიძლია მხოლოთ ის შევნიშნოთ, რომ იმათ უმთავრეს საგანს შეადგენს საქართველოს წარსულის შესწავლა, ამასთანავე ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის კულტურულ ისტორიას. თავის თავათ იგულისხმება, რომ საქართველოს წარსულის მეცნიერულათ გამოკვლევა და შესწავლა მეტათ საინტერესოა და ყველას მხრით ყურადღების ღირსი. რამდენათაც ჩვენ ვიცით, აქამდის ბ. ივ. ჯავახიშვილის ნაწერების შე-

სახებ ქართულ მწერლობაში არავის გამოუთქვამს თავის მსჯელობა. აშკარაა, რომ ასეთი ნაწერის ღირსება-ნაკლულევანების ჩვენება და დაფასება მეტათ საჭიროა, როგორც მკითხველისათვის, ისე თვით ავტორისათვისაც. ჩვენ აქ გვინდა შევეხოთ, და ისიც მხოლოთ რაც შეიძლება ძლიერ მოკლეთ, ბ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიურ ისტორიას“.

როგორც საზოგადოთ, ისე ამ შემთხვევაშიაც ბ-ნ ჯავახიშვილს მეტათ საჭირო საგნისათვის მოუკიდია ხელი, მაგრამ რამდენათ საჭიროა იგი, იმდენათ საძნელოცაა, თუ კიდევ უფრო არა. თუ საქართველოს წარსული ცხოვრება ჩვენთვის დღეს ბურუსით არის მოცული, ეს განსაკუთრებით იმით აიხსნება, რომ ქართველი ხალხის ეკონომიური ვითარება წარსულში თითქმის სრულებით შეუსწავლელი და გამოუკვლეველია. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს ეკონომიური განვითარება კიდევაც ემსგავსება ევროპის ქვეყნების ეკონომიურ განვითარებას და კიდევაც განირჩევა მისგან. მაგრამ ეს არის ზოგადი აზრი, რომლის დასაბუთებისათვის საჭიროა საფუძვლიანი გამოკვლევა.

რას გვაძლევს ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის შრომა საქართველოს ეკონომიურ ისტორიის შესახებ? რა ნათელს ფენს იგი ქართველი ხალხის ეკონომიურ ვითარებას წარსულში? გვიხატავს თუ არა ბ. ჯავახიშვილი ძველი საქართველოს ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებას?

„საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ გადათვალიერებამ ჩვენ დაგვარწმუნა იმაში, რომ ბ-ნ ივ. ჯავახიშვილს არც მომზადება აქვს და არც ცოდნა საქართველოს ეკონომიური ყოფა-ცხოვრების გამოსაკვლევათ. მართალია, ავტორს გადაუკითხავს საქართველოს ისტორიის ზოგიერთი წყაროები; მართალია, მას აქედან რამდენიმე საინტერესო ცნობებიც ამოუკრეფია, რომლებიც შეიძლება მეცნიერმა გამოიყენოს ძველი საქართველოს ეკონომიურ ყოფა-ცხოვრების დასახასიათებლათ, მაგრამ აშკარაა, რომ მარტო ეს არ არის საკმარისი საქართველოს ეკონომიური ისტორია დაიწეროს. ვინც ამ საქმეს ხელს მოკიდებს, იგი უწინარეს ყოვლისა კვლევის იმ იარაღით უნდა იყოს აღჭურვილი, რომელსაც მეცნიერული მეთოდი ეწოდება. მეცნიერული მეთოდი მკვლევარის ხელში ჩვენ გვაწვდის მეცნიერის გამოკვლევის გასაღებს; იგი ის უებრო საშვალებაა, რომლის მეოხებით გაფანტული, ერთი მეორისაგან დაშორებული ფაქტები და მოვლენები ერთმანეთს უახლოვდებიან და მათ შორის დაფარული, შინაგანი კავშირი გამოჩდება; ეს ის საშვალებაა, რომელიც ბრწყინვალე გზას შუქით ანათებს სიბნელით მოცულ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს. ბ-ნ ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონ. ისტორია“ აშკარათ გვიმტკიცებს, რომ ავტორი ხსენებული წიგნის შედგენის დროს სრულებით არავითარი მეთოდით არ ხელმძღვანელობდა. ამიტომ მისი შრომა არ არის მეცნიერული გამოკვლევა, როგორიც იგი უნდა ყოფილიყო თავის დანიშნულებისამებრ.

ასეთი მეთოდის უქონლობა ბ. ჯავახიშვილის შრომას პირველ გვერდიდანვე ემჩნევა. რადგანაც ავტორმა საქართველოს ეკონომიური ისტორიის დაწერა მოინდომა, იგი ჯერ უნდა შედგომოდა წარმოების იმ წესების გამოკვლევას, რომლებიც ძველ საქართველოში არსებობდენ და შემდეგ უნდა ეჩვენებია, თუ წარმოების განსაზღვრული წესი რა გვარ საზოგადოებრივ ურთიერთობას ბადებდა. ძველი საქართველოს უმთავრეს დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ბატონ-ყმური ურთიერთობა და ფეოდალური წესწყობილება. ბ. ჯავახიშვილმა თავიდან აიცილა იმ კითხვის გამორკვევა, თუ როგორ მოხდა საქართველოში ბატონ-ყმობის დამყარება, რადგანაც, მისი აზრით, „ამის შესახებ არავითარი წყაროები არ მოიპოვებაო“ („საქ. ეკონომ. ისტ., გვ. 3). რაც შეეხება ფეოდალური წესწყობილების დახასიათებას, ავტორმა გვაკმარა მხოლოთ აზნაურების ხარისხების ჩამოთვლა, როგორც ეს მოხსენებულია IX—XIII საუკუნეების წყაროებში, გლეხების შესახებ ბ-ნი ჯავახიშვილი სწერს: „ზოგი თავისუფალი იყო, ზოგი კიდევ ყმებათ ითვლებოდაო“ (გვ. 10), და შემდეგ მოყავს ორნაირი ცნობები, რომლებიც ამტკიცებენ, როგორც თავისუფალი გლეხების, ისე ყმების არსებობას 9—13 საუკუნეებში. მერე რა? განა როგორც ერთნი, ისე მეორენი არ არსებობდენ როგორც წინეთ, ისე იმის შემდეგაც? საქმე მარტო ის კი არ არის, იყვენ თუ არა 9—13 საუკუნეებში თავისუფალი გლეხები და ყმები, ეს ჩვენ ისედაც კარგათ ვიცით. საქმე ის არის, თუ რა ნაირი პირობები უწყობდენ ხელს ან აფერხებდენ იმათ არსებობას. რა უწყობდა ხელს, გლეხობის, ე. ი. მიწის მომუშავეთა, თავისუფალი მდგომარეობის თანდათან გაქრობას და ბატონ-ყმური ურთიერთობის აღორძინებას? რა როლი ითამაშა მთელ ამ პროცესში, მაგ. ქრისტიანობის შემოღებამ საქართველოში, ან გამუდმებულმა ომიანობამ? რამდენათ ემსგავსება ამ მხრით საქართველოს ეკონომიური განვითარება ევროპის ქვეყნების განვითარებას? აი კითხვები, რომლების დაბეჯითებით გამოძიება ნათელს მოფენდა საქართველოს ეკო-

ნომიურ ყოფა-ცხოვრებას წარსულში. სამწუხაროთ ბ. ჯავახიშვილმა ყველა ამ კითხვების გარკვევას გვერდი აუქცია და დაკმაყოფილდა მხოლოთ იმის ჩვენებით, რომ საქართველოში 9—13 საუკუნეებში იყვენ ერთი მხრით დიდი და მცირე ციხიანი და უციხონი აზნაურები და მეორე მხრით თავისუფალი გლეხები და ყმებიო.

აქ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ. ავტორს ერთი მხრით თავისუფალ გლეხათ მიაჩნია ისეთი გლეხი, რომელსაც საკუთარი მამული აქვს, და მეორე მხრით ისეთი გლეხიც, რომელიც თავის საკუთარ მამულს სრულებით მოკლებულია და აქე‍ჟ იქით დაძრწის, რომ სადმე რაიმე ნაირათ მიწა იქიროს, ან იჯარით აიღოს. ჩვენი აზრით კი ამ შემთხვევაში ან ხიზნებზე არის ლაპარაკი და ან პირდაპირ ბოგანო, უმიწა-წყლო გლეხებზე, და არა თავისუფალ გლეხებზე. გლეხის მეურნეობის შესახებ ბ. ჯავახიშვილი სხვათა შორის ამბობს: „ნახნავის გარდა მეურნეობა „ვენახისა“ ,,ხილნარისა‘‘ და ,,ბოსტნისაგან‘‘ შესდგებოდაო; ვენახი ვაზისათვის იყო და ახალ გაშენებულს ,,ახალნერგი ვენახი ერქვა, ვაზს დიდი მოვლა უნდოდა: ჯერ ,,ასარვა‘‘, მერე ,,აჯოჯვა‘‘, რომ მომწიფდებოდა ,,მოსთვლა‘‘ ,,რთველი‘‘ და სხვ. (გვ. 19) ჩვენ ვერ გაგვიგია ყველა ამ ,,ცნობებს‘‘ რა მნიშვნელობა უნდა ქონდეს საქართველოს ეკონომიურ ისტორიისათვის! ან შეიძლება იყო ისეთი დრო, როცა ვენახი ვაზისთვის არ იყო დანიშნული? ან შეიძლება იყო ისეთი დრო, როცა ვაზს ჯერ „მოსთვლა‘‘ და შემდეგ ,,ასარვა‘‘ ან ,,აჯოჯვა‘‘ არ ეჭირვებოდა? ბ. ჯავახიშვილმა უნდა იცოდეს, რომ საზოგადოთ ისტორიის საგანს არ შეადგენს ადამიანის ისეთი მოქმედება ანუ აქტი, რომელიც მუდამ ერთნაირია. იცვლება შრომის სოციალური ორგანიზაცია, შრომის საზოგადოებრივი პირობები, მაგრამ ვენახი მუდამ ვაზისთვის იყო, არის და იქნება; ამ მხრით არც ერთ ფორმას შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციისას არავითარი ცვლილება არ მოუხდენია და ვერც მოახდენს.*).

ფ. მ.

(შემდეგი იქნება)

*) ამგვარი უმნიშვნელო ცნობები სხვაც ბევრი მოიპოვება ბ. ნ ჯავახიშვილის წიგნში. მაგალითისთვის ჩვენ მოვიყვანთ აქ რამდენსამე. „რაკი სწორე ადგილი საქართველოში იშვიათათ თუ სადმე მოიძებნება, ამიტომ მანამ შენობის აგებას შეუდგებოდენ, თავდაპირველათ ნიადაგს გაასწორებდენ ხოლმეო. (გვ. 29). ავტორს ისიც უნდოდა ეთქვა, რომ სანამ შენობის კედელს ამოიყვანენ, ჯერ საძირკველს ჩაყრიდენ! აი კიდევ: „მოლესვის შემდეგ (ეკკლესიის გაკეთებაზეა ლაპარაკი.) „მოხატავდენ“, მოჯიქავდენ“ და დააჭრელებდენ ხოლმეო“ (იქავე) „თაღების გადაყვანას რომ შეუდგებოდენ“, მოგვითხრობს ბ. ჯავახიშვილი, ჯერ „კალაპოტს შეუდგამდენ, ხოლო თაღი რომ გამაგრდებოდა, „კალაპოტს გამოუყრიდენ და მერე და მერე „მოლესავდენ კიდეც“ (იქვე).

ფ. მ.

## ჩვენი ქალაქის თვითმართველობა *)

მცხოვრებთა ჯანმთელობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბაღებს და ხეივნებს, რადგანაც მცენარეებს უპირველესი ადგილი უკავიათ ჰაერის დაწმენდაში. მაშინ, როდესაც სულიერ არსებათა სამეფო სწამლავს ჰაერს თავის ამონასუნთქ ნახშირბადით, მცენარეები, წინააღმდეგ ამისა, თავის ფოთლების ქლოროფილის მარცვლებით ჰაერის ნახშირბადს შლიან მის შემადგენელ ნაწილებათ, ნახშირს თვით ითვისებენ, მჟავბადს კი ჰაერში სტოვებენ, და ამნაირათ ჰაერი დაწმენდილი რჩება. ეს ბუნების დიადი კანონი პირდაპირ მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენათ საჭიროა მცენარეულობა ქალაქ ადგილებში, სადაც აუარებელი ხალხი შეგროვილა და სადაც მაშასადამე ყველაზე მეტათ იწამლება ჰაერი ნახშირის სიმჟავით. ამიტომაც კარგათ მოწყობილ ქალაქებში მრავალი ბაღები და ხეივნებია. რაც მეტია ეს ბაღები და ხეივნები, მით უკეთესია მცხოვრებლების ჯანმთელობისათვის. გვაქვს კი ჩვენ ქუთაისში ამისთანა ბაღები და ხეივნები? მთავრულ ქალაქში გვაქვს ერთათ ერთი ბულვარი, სადაც თავს იყრის თითქმის მთელი ქალაქი. მერე? ეს ბაღი თუ მაინც კარგათ გვაქვს გაწყობილი? სამწუხაროთ ამ წლებში ჩვენ ბულვარის მორწყვა არ გვღირსებია. სეირნობის დროს მტვერის ისეთ კორიანტელში და ბუღში ვართ გახვეული, რომ ისევ სახლში იყოს კაცი მოკალათებული, ისა სჯობია. სამხრეთის მხრით ბულვარს ჩამოუდის გაშლილი არხი, რომელშიაც ხანდახან იმისთანა უსუფთაობას უშვებენ, რომ მახლობლათ დგომა შეუძლებელია, ისეთი ცუდი სუნი დგება. მიუხედავათ ამისა ჰაერს დანატრებული მცხოვრებლები ამ ნაკლს ყურადღებასაც არ აქცევენ და ძლიერ ერთგულათ უტრიალებენ გარშემო ჩვენს ბულვარს. გვაქვს კიდევ ეგრეთ წოდებული „ფერმა“, მარა ის იმდენათ დაშორებულია ქალაქს, რომ თუ ხანდახან განგებ წავლენ სანახავათ, თორემ ისე მოუხერხებელია ამ ბაღით სარგებლობა.

კარგათ მოწყობილ ქალაქებს აგრეთვე აქვთ ბავშებისთვის ცალკე მოედნები, სადაც გაშლილ ჰაერზე ბავშები სხვადასხვანაირი თამაშობით და ვარჯიშობით ამაგრებენ თავის საზარდ სხეულს. ქუთაისში კი, დარწმუნებული ვარ, ბევრს წარმოდგენაც არა აქვს ამნაირ მოედნებზე. ბაღები უნდა იყოს ქალაქის ყველა ნაწილში, რომ მცხოვრებლებს რაც უნდა ცოტა თავისუფალი დრო ქონდეთ, შეეძლოთ გაშლილი ჰაერით სარგებლობა.

*) იხ „ცისკარი“ № 3.

რაც შეეხება ჩვეულებრივ მოედნებს ურმების და ეტლების დასადგომათ და ფეხზე სავაჭროთ, არც ამ მხრივ შეუძლია დაიკვეხოს ჩვენმა ქუთაისმა. ავიღოთ, მაგ., ჩვენი „საწვანილე“, ეს სივიწროვის და უსუფთაობის სურათი, ანა და ძველი და ახალი ყაფანი, ფრანგების და პოლიციის მოედნებზე უსუფთაობას ემატება სრული უწესრიგობა: სოფლიდან შემოსული ურმები და ეტლები, განსაკუთრებით პარასკეობით, ერთი მეორეს გზას ულობავენ; იმართება ერთი ჩხუბი და ყვირილი და ერთ წამში გასავლელი გზა, შეიძლება, ერთ საათსაც ვერ იშოვო.

თვითმართველობის მოვალეობას შეადგენს აგრეთვე ქალაქის სისუფთავისთვის ყურისგდება. უწინარეს ყოვლისა სანიტარული ზრუნვა უნდა გამოიხატებოდეს ქუჩების, მოედნების, ბაღების და მცხოვრებლების ეზოების წმინდათ შენახვაში. როგორც ქუჩები, ისე ეზოები და მოედნები ყოველ დღეს უნდა იგვებოდეს, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში სხვადასხვა ორგანიული ნივთიერება, აქ დარჩენილი, დროს ზედ გავლენით ლპება და ჰაერი იწამლება სხვადასხვა მავნე გაზებით. სანოვაგის სიავ-კარგესაც ქალაქის სანიტარული დასი უნდა ადევნებდეს თვალყურს. ხორცი უნდა იყიდებოდეს ახალი და საღი; მცხოვრებლები უნდა უზრუნველყოფილი იყვენ, რომ მათ არ მიყიდონ სნეული პირუტყვის ხორცი. ამ მოვალეობას ასრულებს საბეითალო სტანცია, რომლის ნებადაურთველათ არ უნდა იყიდებოდეს ხორცის არც ერთი ნაჭერი. საბეითალო სტანცია ჩვეულებრივათ იმართება სასაკლაოებთან. თვით სასაკლაოებს განაგებენ ბეითლები, რომლებიც ადასტურებენ საქონლის ჯანსაღობას. ყასბები როგორც იურიუდიულათ, აგრეთვე ზნეობრივათაც ვალდებული არიან ქალაქის სასაკლაოს ცენზურაში გაატარონ თავისი სავაჭრო საქონელი. ხანდახან მოხდება ისე, რომ ნამალავათაც შემოაქვთ გასაყიდი ხორცი, მაგრამ ეს მხოლოთ უკულტურობის ნიშანია და მეტი არაფერი. ვსთქვათ, რომელიმე ყასბმა ნამალავათ გაყიდა ტრიხინიანი ღორის ხორცი და ეს სენი შეეყარა ამ ხორცის მხმარებელს, ან ნამალავათ გაყიდა ჭირიანი საქონლის ხორცი და ამ ხორცის მხმარებელს ჭირი შეეყარა, ნუთუ პასუხის-გება, რომელშიც ამ შემთხვევაში ხორცის გამყიდველი ჩავარდება, სასიამოვნო ან სასარგებლო რასმე წარმოადგენს? სასაკლაოს ჩვენს დროში ქალაქს გარეთ აკეთებენ, რადგანაც პირუტყვების ნეხვი და შარდი, დაკვლის შემდეგ კი წელები და ნაწლევების შიგნეულობა, ტყავი და სისხლი იხრწნება და სწამლავს გარშემო ჰაერს. ქუთაისს აქვს გვარიანათ მოწყობილი სასაკლაო სალორიაზე, ქალაქის მოშორებით, როგორც რიგია, მაგრამ სამაგიეროთ ბეითალი მთელი წლობით არ ყავს ჩვენს ქალაქს და მის მაგიერობას ხშირათ ასრულებს უმეცარი ფერშალი. ეს გავს იმას, რომ უნივერსიტეტში სოფლის მასწავლებელს დაავალო ლექციების კითხვა. თუ მადლს შვრები, ბარემ მარილიც მოაყარე, სწორეთ ამ ბრძნული ქართული ანდაზით უნდა მივმართოთ ჩვენი ქალაქის თვითმართველობას. თუ ყველაფრათ მოაწყვეს და გამართეს სასაკლაო, ბარემ ბეითალიც იყოლიონ.

გრ. ნასარიძე.

(შემდეგი იქნება).

# ჩხრეკა.

(ამბავი)

კუპრივით შავი ღრუბლები ლოდივით დასწოლია თავზე მთელ ქვეყანას. ცა გარისხებულა, ხან და ხან დასავლეთისკენ გაიკლაკნება ელვა და დაიქუხებს, დაიქუხებს საზარლათ, ასე ეგონება კაცს თითქო ბუნებაც ხალხის წინააღმდეგ ამხედრებულა და ქვეყნის ძლიერებთან ერთათ მთელ ქვეყანას განადგურებას უქადისო. ვარსკვლავები არ სჩანს. მთვარეს ველარ გაუძლია ამ საზარელ სანახაობისთვის და ღრუბლებში მიმალულა, სიცოცხლით სავსე ქალაქი სამარისებურ სიჩუმეს შეუპყრია. მთელ ქალაქში უსაზღვრო შიში გამეფებულა, და ყველაფერს არა ჩვეულებრივი შიშის ბეჭედი აზის. ქუჩაში არავითარი სულდგმული არა სჩანს. ყველა სულგანაბულია, ყველა მხოლოთ ერთ აზრს შეუპყრია— შეინარჩუნოს სიცოცხლე, არვინ მოსტაცოს ის.

ამ საზარელ მყუდროებაში ერთი ქუჩის მოსახვევში გაისმა მწყობრი, მძიმე ფეხის ხმა. თითეული ნაბიჯი ისე საზარლათ გაისმოდა ჰაერში თითქო კუბოებს ლურსმნებს აჭედენო. ქუჩაში თოფიანი ჯარის კაცნი გამოჩდენ. მათ გაქვავებულ სახეზე რაღაც საზიზღარი შურის ძიება და ბოროტება იხატება. ჩასისხლიანებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებენ, რომ არავინ გამოეპაროსთ და მზათ არიან პირველ შემხვედურსავე ეცენ, როგორც აფთარი, გაბაწრონ, გასჩხრიკონ, თავ-პირი დაამტვრიონ და ისე გაუშვან. ქუჩის ერთ მხარეს მათ წინ მიუძღვის აფიცერი. მისი ბოროტი, ცეცხლით აგზნებული თვალები, თაგვის კუდივით გაწკეპილი ულვაშები და საზიზღარი ღიმილი აშკარათ მოწმობენ, რომ ის მეტის მეტათ კმაყოფილია თავის ბედის. ამ საერთო მოწყენილობასთან მხოლოთ მარტო მისი გული ტოკავს სიხარულით და მხეცურ ინსტიქტების

დაკმაყოფილების სურვილი იუდის ბეჭედივით აღნიშნულია მის შუბლზე. ქუდი განზე მოუგდია, ხელები ზურგზე დაუწყვია და ნელი ნაბიჯით მიდის წინ. ხან და ხან მარჯვენა ხელს ზანტათ მიიტანს პირთან, გამოიღებს პაპიროზს და ნეკის წვერს კოხტათ ჩამოკრავს ფერფლის ჩამოსაცლელათ. მის, ბოროტი ცეცხლით აზნებულ, თვალებში საშიშარი შურის ძიება გამოიხატება. მას წყურია უსაზღვრო შური იძიოს. მას ახსოვს ის დრო, როცა ერთ დღეს ხალხის ზღვა შეხვდა ქუჩაში წითელი დროშებით; ახსოვს როგორ მრისხანებით დაუყვირეს და ძალათ ქუდი მოახდევინეს. ის მზათ იყო ამ დროს, რომ შესძლებოდა, მივარდნილიყო და ფეხ ქვეშ გაეთელა წითელი დროშები, მთელი ხალხი გაესრისა, როგორც ჭია, სისხლის გუბეები დაეყენებია. მზათ იყო ასეთ შეურაცყოფისათვის საშიშარი შური ეძია, მარა უძლური იყო. მან გულში ჩაიკლა ბრაზი და ძალა უნებურათ ქუდი მოიხადა, ქედი მოიხარა ხალხის სურვილის წინაშე. მას, რომელიც სხვის ბძანებას და ბატონობას დედის ძუძუსავით შეჩვეული იყო, უბძანეს და მანაც აასრულა ბძანება. მას შემდეგ განვლო კარგა ხანმა, მაგრამ ეს შეურაცყოფა გონებიდან არ შორდებოდა და დროს ეძებდა სასტიკი შური ეძია. და აი დადგა კიდეც სანეტარო დრო.

ის უცფათ შეჩერდა, და თითქო სასწაულებრივი კვერთხიაო მარჯვენა ხელი გაიქნია. მისი მიმყოლი ჯარის კაცები ერთ ადგილს გაქვავდენ.

— ძმებო! (წინათ ამ „ძმებს“ ის სულ სხვა სახელით იხსენიებდა) ყველა თქვენგანს კარგათ უნდა ახსოვდეს ის ფიცი, რომელიც თქვენ დასდეთ სამშობლოსა და ტახტის წინაშე: ერთგულება, თავის დადება, სიცოცხლის შეწირვა. შეუბრალებლობა, სასტიკი შურის ძიება შინაურ და გარეულ მტრებისადმი. ისიც კარგათ იცით, თუ ვინ არიან შინაური და გარეული მტრები. შინაურ მტრებს უნდათ მოსპონ ქრისტიანობა, გაყიდონ სამშობლო, დაამხონ რუსეთი, მათ არაფერი არ სწამთ. რომ შინაური მტრები არა, ახლა თქვენ არხეინათ თქვენ კაზარმებში იქნებოდით. თუ გაწუხებთ, ეს სულ მათი ბრალია. გახსოვდეთ, რომ ვინც მეტ ენერგიას და სისასტიკეს გამოიჩენს, ღირსეულ ჯილდოს მიიღებს. ჩვენ ახლა აი ეს უბანი უნდა შევკრათ. როგორც გვაცნობეს, აქ რევოლიუციონერების ბუდეა. ჩვენი ვალია ავშალოთ მათი ბუდე და სამუდამოთ მოვსპოთ მათი ხსენება. არ დაინდოთ არც ყრმა, არც მოხუცი, არც ქალი და არც კაცი. არ დაზოგოთ ტყვიები. თითო მოკლულ რევოლიუციონერში, ქალი იქნება თუ კაცი, ყველა თქვენგანი სამ მანეთს და ჩვენი უფროსისაგან მადლობას მიიღებს. ხომ აგრე მოიქცევით?

— დიახ აგრე, თქვენო კეთილშობილებავ!— გაისმა მწყობრი ღრიალი.

— მაშ გავსწიოთ!—მხიარულათ შესძახა აფიცერმა, კოხტათ შემოტრიალდა ცალ ფეხზედა მძიმე ნაბიჯით გასწია წინ. მას გაყვენ ჯარის კაცებიც.

უბანს ალყა შემოარტყეს. დაიწყო სასტიკი ჩხრეკა. ამ საშინელ ღამეს არ დარჩენილა გაუღახავი არც კაცი და არც ქალი, არ დარჩენილა ხელშეუხებელი არც ერთი ნივთი, რომელიც კი გამოსადეგი იყო. მიყუჩებული უბანი უცბათ ახმაურდა, მაგრამ ეს ხმაურობა არ იყო მხიარულების ხმა. მასში გამოიხატებოდა ოხვრა-კვნესა და წყევლა-კრულვა იმ უხილავი ძალისადმი, რომელმაც მათ მყუდროება დაურღვია. გაჩხრეკილ სახლებიდან ცემა-ტყეპით ერეკებოდენ ახალგაზრდობას, სად და რისთვის-ეს კი არავინ იცოდა.

„სევილიი“-ს სასტუმროში გვიან გაიგეს, რომ უბანს ალყა ერტყა. ვანო მორბელაძე ის იყო გამოვიდა ქუჩაში, იქვე ახლო დუქანში სანთელი იყიდა და უკან გამობრუნდა, რომ სასტუმროში უკვე შევიდენ. ვანო ორი დღის ჩამოსული იყო სოფლიდან. მას დიდი საქმე ქონდა დავალებული. ის სხვიპასპორტს ატარებდა, მაგრამ სასტუმროს პატრონი კარგათ იცნობდა. მიუახლოვდა თუ არა სასტუმროს, მან შეამჩნია, რომ საქმე ცუდათ იყო და გასწია პირდაპირ. მას უნდოდა, თითქო აქ არაფერიაო, ისე გვერდი ჩაევლო სასტუმროსთვის და სადმე გამქრალიყო, მაგრამ გაუსწორდა თუ არა კარებს, ჯარის კაცებმა ხელი სტაცეს და შიგნით შეათრიეს. ელვის უმალ მის წინ გაჩნდა უნტერ-აფიცერი და მრისხანეთ შეეკითხა:

— შენი გვარი?

— ნესტიანიძე:—მიუგო ვანომ.

— პასპორტი ჩქარა!

ვანომ ჯიბიდან პასპორტი ამოიღო და გადასცა. უნტერ-აფიცერმა მრისხანეთ აათვალიერ-ჩაათვალიერა და მიუბრუნდა ჯარის კაცებს.

— გაჩხრიკეთ!

ვანო გააჩერეს, ხელები მაღლა ააწევიეს და გაჩხრიკეს. უპირველეს ყოვლისა ჯიბიდან ამოათრიეს მეორე პასპორტი და მხიარული სახით უნტერ-აფიცერს გადასცეს. მან გადახედა პასპორტს და მიუბრუნდა ვანოს.

— ვინ მოგცა შენ ეგ პასპორტი?

— ეს სოფლიდან გამომატანეს, ბედენაშვილისთვის უნდა გადამეცა.

— იცნობ შენ ბედენაშვილს?

— ვიცნობ.

— იცი სადა დგას?

— არ ვიცი,—იცრუა ვანომ.

— მაშ როგორ უნდა გადაგეცა პასპორტი?

— თუ შევხვდებოდი სადმე ქუჩაში, უნდა გადამეცა, თუ არა, ისევ უკან უნდა წამეღო.

ამ ლაპარაკში კიბეზე გამოჩნდა ზემოდან მომავალი აფიცერი. მას უკან ფერწასული სასტუმროს პატრონი მოსდევდა და რაღაცას ეხვეწებოდა. მორბელაძის დანახვაზე აფიცერი შეჩერდა, მრისხანეთ ახედ-დახედა თავიდან ფეხებამდე და კითხა:

— ვინა ხარ შენ?

ვანომ ის იყო დააღო პირი საპასუხოთ, რომ სასტუმროს პატრონმა დაასწრო და უთხრა.

— ეგ, ბატონო, მორბელაძეა, ჩემთან არის ჩამომხტარი, მშვიდობიანი ყმაწვილია.

ვანოს გააჟრჟოლა ამ სიტყვაზე. ის ამას არ მოელოდა. თუმცა ის მიხვდა, რომ სასტუმროს პატრონს შეცდომით მოუვიდა მისი გვარის გამომჟღავნება, მაგრამ წამხდარ საქმეს ეს არას უშველიდა. ძნელი იყო ამ ეშმაკურ ხლართიდან თავის დაღწევა. სასტუმროს პატრონის სიტყვებზე უნტერ-აფიცერი მიუბრუნდა აფიცერს და აუხსნა ის, რაც მორბელაძიდან გაიგო და წარუდგინა მისი პასპორტი.

აფიცერს სიხარულის ღიმილმა გაუთამაშა სახეზე, მიუახლოვდა ვანოს და ჩაბჟირებით მზერა დაუწყო. შემდეგ აიღო მარჯვენა ხელი, დამცინავი სახით თავი გააქნია და სალოკი თითი მაგრათ წაკრა ცხვირში.

— აა! შე სალახანავ, კიდევ ტყუილებს ბედავ? სჩანს შენ რევოლიუციონერი ხარ, მაგრამ გიმტყუნა ბედმა. ვეღარ წახვალ ჩემი ხელიდან. სთქვი ჩქარა, ვინა ხარ? რაზე ჩამოსულხარ? ვანო მიხვდა, რომ თავის აღწევა შეუძლებელი იყო და გამოტყდა მორბელაძე ვარო.

— მაშ ეს ნესტიაშვილის პასპორტი რათა გაქვს? შეეკითხა აფიცერი.

— ესეც სხვისთვის უნდა გადამეცა.

— სტყუი! დასჭყივლა აფიცერმა და, რაც ძალა და ღონე ქონდა საშინელი სილა სტკიცა.

ვანოს თვალებიდან ნაპერწკლები წამოსცვივდა, თავში სისხლი ავუარდა, გონება დაებნა, და ის იყო გაიშვირა ხელები, რომ სცემოდა აფიცერს და იქვე გაეგლიჯა, მაგრამ კეფაში ძლიერათ მოხვდა თოფის კონდახი და იქვე ჩაიჩოქა.

— წაიყვანეთ იქ! მრისხანეთ უბძანა აფიცერმა ჯარის კაცებს, ხელი გაიქნია და გარეთ გავიდა. ჩაჩოქილი ვანო ცემით წამოაყენეს და წინ გაიგდეს ჯარის კაცებმა.

ძნელია იმის გადმოცემა, თუ რას გრძნობდა ამ დროს საბრალო ვანო. ზნეობრივი ტანჯვა უორკეცებდა ფიზიკურ ტკივილებს. ის დაამცირეს, ფეხ ქვეშ გათელეს მისი ადამიანური ღირსება, მას სცემეს, როგორც ბავშს, რომელსაც სჯის მამა უბრალო დანაშაულობისათვის, სცემეს უმოწყალოთ. ის მზათ იყო მივარდნოდა და კბილებით დაეგლიჯა ერთი მათგანი, მაგრამ აფერხებდა ერთი რამ, მას დავალებული ქონდა საქმის გაკეთება და ამ საქმის გულისთვის უნდა აეტანა ყოველივე გაჭირვება, შეენარჩუნებია სიცოცხლე და როგორმე თავი დაეხწია თავის მტანჯველების კლანჭებიდან. ამ მოსაზრებით ვანომ უხმოთ აიტანა ყველა ეს, მხოლოთ სიბრაზით კბილები გაახჭრიალა და დასაკლავი ცხვარივით გაყვა ჯარის კაცებს.

ის ცემა-ტყეპით გაატარეს ერთი ქუჩა და გაჩერდენ ორ სართულიან სახლის წინ. აქ ვანომ დაინახა, რომ ის მარტო არ იყო. ამ საშინელ ღამეს იქ ორმოცამდე ქალი და კაცი მოერეკათ და ჯარის კაცებს ალყა შემოერტყათ. ბევრ მათგანს ცემისაგან თავ-პირი დასისხლიანებული ქონდა. უცბათ ზემო სართულის სარკმელი გაიღო და გადმოსძახეს ჯარის კაცებს:

— ამოიყვანეთ მორბელაძე!

ამ დაძახილზე ვანო შეკრთა. მან გადასწყვიტა, რომ იქ კარგი არა მოელოდა რა, შეიძლება კიდეც მოეკლათ უხმოთ, უბრძოლველათ. მოეკლათ ისე, რომ პასუხიც ვერ გაეცა თავის მტანჯველებისათვის. მან წინდაწინვე გადასწყვიტა თავის გულში, რაც უნდა ტანჯვა წვალება მიეყენებიათ, არ ეღალატნა თავის რწმენისათვის, არ გაეხარებია მტრების გული. ის მტკიცე ნაბიჯით გაყვა ჯარის კაცებს. აატარეს მაღალი კიბე და შეიყვანეს დარბაზში. აქ მის თვალებს შემდეგი სურათი წარმოუდგა: ძალზე განათებულ დარბაზში ორ რიგათ ჩამწკრივებულიყო ათი თოფიანი ჯარის კაცი. იქვე სკამზე იჯდა რამდენიმე აფიცერი და რაღაცაზე საიდუმლოთ ბჭობდენ. მათ პირქუშ სახეზე აშკარათ ამოიკითხა ვანომ, რომ კარგ დღეს არ დააყენებდენ. შესვლისთანავე ყველამ თვალები გააშტერა. ერთმა აფიცერმა, რომელიც სხვებზე უფროსი უნდა ყოფილიყო, რიხიანათ უბძანა ჯარის კაცებს:

— აბა წარმომიდგინეთ ეს ვაჟბატონი! მოიყვანეთ ახლოს.

ორმა სალდათმა ფიცხლავ ხელი სტაცა ვანოს და ახლოს მიიყვანა.

— ხედავ, აი ჭერში რომ ლამპის ჩამოსაკიდი რკინაა? თუ ყველაფერი არ გითქვამს, რასაც ჩვენ გკითხავთ, აი იმ რკინაზე ჩამოგახრჩობ. ჩვენი სა-

მართალი ჩქარია. ჰევრს არ მოგეხათრებით, ხელათ თოკს გამოვაბამთ და ჩამოგაკოწიალებთ, მორჩა და გათავდა. თუ ყველაფერს იტყვი, გაგათავისუფლებთ. პირველი კითხვა—რათ ჩამოხვედი ქალაქში? რა საქმე გაქვს?—უთხრა უფროსმა აფიცერმა და ზეზე წამოდგა.

— საქმიმოთ ჩამოვედი!—წყნარათ უპასუხა ვანომ.

— სტყუი!—დასჭყივლა აფიცერმა—განა შენ ავათმყოფი ხარ? ჩვენ ვიცით, რაზედაც ჩამოდი, მხოლოთ გვინდა შენი პირით აღიარო ყველაფერი. უნდა სთქვა! უნდა სთქვა! გესმის? ის მივიდა და ძალზე ნჯღრევა დაუწყო.

— აკი ვსთქვი საქმიმოთ მეთქი!

— ეს ერთი! დასჭყივლა აფიცერმა და მარჯვენა ხელი ღონივრათ გაიქნია. დარბაზში საშინელი ლაწანის ხმა გაისმა. ვანოს მარჯვენა ლოყა აეტკაცა.

— ნუ მცემთ! —ბრაზმორევით შესძახა მან და ერთი ნაბიჯი გადადგა წინ.

— ააა! ჯავრობ კიდეც!—საზიზღარი დაცინვის კილოთი ჩაიხითხითა.—ნუ გცემთ?! ეს ცემა არ არის, ეს სიგნალია! ცემა ახლა იკითხე. მაშ არ იტყვი, რომ შენ „ბომბების“ წასაღებათ ჩამოსული ხარ?! არ იტყვი?! აბა ბიჭებო! ვინც უფრო ხელღონიერი ხართ, მისცხეთ ერთი მაგას, იქნება ჭკუაზე მოვიყვანოთ და ვათქმევინოთ.

აფიცრის ბძანებაზე წინ წამოდგა ხუთი ჯარის კაცი და გამხეცებული ეცა ვანოს. ორმა ხელები დაუჭირა და დანარჩენებმა უმოწყალოთ დაუშინეს მუშტები თავსა და პირში. საშინელი ტკივილებისგან ვანოს სიმწრის ოფლი დაასხა, მაგრამ ერთი კვნესა არ ამოხდენია გულიდან. მისი გონება ერთ აზრს შეებოჭა: როგორმე გაეთავისუფლებია ხელები და ერთი მტანჯველთაგანი მაინც დაეხრჩო, მაგრამ ისე მაგრათ ყავდათ შებოჭილი, რომ ყოველივე ცდა ამაო იყო. სიბრაზით ენის წვერს მაგრათ კბილები მოუჭირა.

როცა გამხეცებული ჯარის კაცები საბრალო ვანოს უმოწყალოთ მუშტებს უშენდენ, აფიცრები არხეინათ ისხდენ და სიამოვნების ღიმილით უცქეროდენ ამ ველურ სცენას.

— ყოჩაღ! ყოჩაღ! რა მოკრივე ყოფილა ეს პუზოვი!—სიამოვნების ღიმილით სთქვა ერთმა აფიცერმა.

— პუზოვს ზდერიგლაზოვი აჯობებს,—სთქვა მეორემ.—აბა უყურე, როცა ის თავის ორფუთიან მუშტს გაარტყამს, როგორ იკლაკნება ტკივილებისგან. მარტო ეს რომ გაგვეგზავნა იაპონელებთან ომში, მგონია, მთელ დივიზიას იფერენდა თავის მუშტით.

ამ ქებით წაქეზებულმა ჯარის კაცებმა თან და თან უმატეს მუშტების ცემას. ვანოს პირიდან და ცხვირიდან სისხლი წასქდა და მკვდარივით დაეცა იატაკზე.

— დაასხით წყალი!—უბძანა აფიცერმა.

ჯარის კაცებმა დაასხეს წყალი და წამოაყენეს ვანო, მაგრამ ისევ დაეცა.

— დააცადეთ, დაისვენოს! თქვენ ახლა დაისვენეთ და, როცა ფეხზე დგომას შეიძლებს, დანარჩენები მისცხებთ.

წინ წამოდგა დანარჩენი ხუთი კაცი. სიამოვნების ღიმილით წაიმკლავეს და ხელის გულზე დაიფურთხეს.

ცოტა ხანს შემდეგ უბძანა აფიცერმა ვანოს წამოყენება.

ჯარის კაცებმა სწრაფათ ხელი სტაცეს და ფეხზე დააყენეს. ის სულს ძლივს იბრუნებდა.

— ახლა მაინც არ იტყვი? არ გებრალება თავი შე უბედურო? ხომ იცი, რომ ახლა მთელი ძალა ჩვენ ხელშია. სთქვი ჩქარა!—უთხრა აფიცერმა და ნიკაპზე ხელი ამოკრა.

— მე ვსთქვი და გავათავე, —ყრუთ წარმოსთქვა ვანომ.

— აბა!—დაიღრიალა აფიცერმა და ხელი გაიქნია... ჯარის კაცები ეცენ ვანოს და დაუშინეს. დაიწყო ისევ ველური სცენა. დასვენებული ჯარის კაცების მუშტებს ველარ გაუძლო ვანომ და მალე ჩაიკეცა.

— წამოაყენეთ!—დასჭყივლა აფიცერმა.

ვანო წამოაყენეს. ის ძლივსღა ადგა ფეხზე.

— გაგვიძეხ ახლავ ბედენაშვილის ბინაზე! შენ იცი მისი ბინა. ჩვენ მას დავიჭერთ და შენ გაგათავისუფლებთ,—უთხრა ვანოს აფიცერმა.

— ბედენაშვილის ბინა არ ვიცი!—ძლივს წამოილუღლუღა ვანომ.

— იცი!

— არ ვიცი!

— გათქმევინებთ. აბა ხიშტები!—უბძანა მან ჯარის კაცებს.

ვანოს ყოველ მხრიდან ხიშტები მიადვეს ტანზე.

— ააგეთ ნელ-ნელა.—უბძანა აფიცერმა.

ვანოს ყოველი მხრიდან ნემსებივით უჩხვლიტა ქრაღამაც.

— გვაჩვენებ ბედენაშვილს?

— არა!

— მიაწექით!

ჯარის კაცები ცოტათი მიაწვენ თოფებს. ვანო ტკივილისაგან საშინლათ დაიმანჭა. განძრევა ყოვლათ შეუძლებელი იყო.

— სთქვი!—დასჭყივლა აფიცერმა.

— არ ვიცი!

— კიდევ!—უბძანა მან ჯარის კაცებს.

ვანოს გვერდებიდან სისხლმა გადმოსჩქეფა.

— გეტკინა?!—გველური ღიმილით შეეკითხა აფიცერი და დემონურათ გადიხარხარა.—სთქვი და არ გეტკინება.

ვანოს უცბათ თვალები ცეცხლივით აენთო, ღონე მოიკრიფა და გაბრაზებით დაიყვირა:

— მტარვალებო! ჯალათებო! მტანჯეთ! დამახრჩვეთ! ამაგეთ ხიშტებზე! ჩამომახრჩვეთ! გაძეხით ჩემი სისხლით! ვიცი ყველაფერი და არ ვიტყვი! არ ვიტყვი! არა! არა! არა! რაც უნდა მტანჯოთ, ჩემი კვნესით არ გავახარებ თქვენს ჯოჯოხეთურ გულს. არ დავიკვნესებ! არა! არა!

— კონდახები!—გაისმა აფიცრის ბძანება.

ჯარის კაცებმა თოფები შეაბრუნეს და კონდახები სეტყვასავით დაუშინეს. პირველ დარტყმის შემდეგ ვანომ კრძნობა დაკარგა და პირქვე დაეცა.

ვანო უჩასტკის ნესტიან სარდაფში მოვიდა გრძნობაზე. ცხვირი ბამბით გამოტენილი ქონდა და თავპირი შეხვეული. მთელ ტანში საშინელ ტკივილებს გრძნობდა. ის ნელა წამოდგა, გამოიღო ცხვირიდან ბამბა, მოიხსნა თავსახვევი და კარებს მიადგა. კარები ღია იყო. გაიარა და ზემოთ ამოვიდა. იქ კანცელარიის კარებთან ხმალზე დაყრდნობილი გოროდოვოი ტკბილათ სთვლემდა, ვანომ ქურდული ნაბიჯით გვერდი ჩაუარა.

ერთი საათის შემდეგ უჩასტკაში მოვიდენ ჯარის კაცები, ვანოს ციხეში წასაყვანათ, მაგრამ იქ აღარ დახვდათ. ის უკვე გაქცეულიყო, რომ შური ეძია.

ირეთელი.

1907 წ. 2 ოკტომბერი, თფილისი.

# რუსეთი.

რუსეთის გუბერნატორები და გენერალ-გუბერნატორები რომ ყოვლის მცოდნე და ყოვლის შემძლე არიან,—ამას დიდი ხანია შეგვაჩვიეს, მარა ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა, ცნობილმა სკალონმა, ჩვეულსაც კი გადააჭარბა: მან აცნობა, თურმე, პოლონელ ეპისკოპოზებს, თქვენ მიერ შემოღებული ლოცვა არ მომწონს და წირვის წესიდან ამოშალეთ, თორემ სასტიკ ზომებს მივიღებო.

იქ, სადაც თვალუწვდენელი ქვეყანა ერთ მუჭა განატონებულთა სახრავია, რა გასაკვირია, რომ სწავლა-განათლებას, რომელსაც შეუძლია ეს უსამართლობა გააშუქოს, ალმაცერათ უყურებენ. ამიტომ არის, რომ რუსეთის სატახტო ქალაქში, თვით პეტერბურგში, სასწავლებლის გარეთ დარჩენილა უალაგობის გამო, 1.47% ბავში.

სწავლა მეტი ბარგიაო, ამბობენ ბატონები? მარა, სამაგიეროთ, გინდა თუ არა, უნდა იშრომო. სხვისთვის, რასაკვირველია. ასე შეხედეს ახალი კანონის ავტორებმა კვირა-უქმე დღეებში დასვენებას. მეცნიერთაგან შემდგარი კომისია, რომელსაც ეს საკითხი ქონდა მინდობილი, იმ დასკვნამდე მისულა, რომ შემოღებული დასვენება მავნებელია და ამიტომ ორი საათით უნდა შემცირდესო. მოსკოვში ახლა ვაჭრობა ორი საათით მეტს გრძელდება, ვიდრე აქამდი იყო.

ჭიათურლებიდან ისწავლეს ტალახის გარევა თუ სხვისგან, არ ვიცით, მარა ის კი მართალია, რომ ხორბლის ექსპორტიორები 10% სილას მაინც ურევენ გაყიდულ ხორბალს. მართალია გურკო და ლიდვალი მეტსაც ურევდენ მინაურ დამშეულთათვის, მარა ისინი ხომ ცნობილნი არიან.

ამიერიდან სახელ განთქმულ გურკოს ყოლია არა ნაკლებათ გამოჩენილი ძმა, რომელზედაც ორიოდე სიტყვის თქმა მხოლოთ ახლა გაბედეს გაზეთებმა. ის იყო ზღვის აფიცერი, „მაღალ" საზოგადოებაში მიღებული და არც საკვირველია, რადგან მამა მისი ვარშავის გენერალ-გუბერნატორი გახლდათ. გენერალ-გუბერნატორობის შვილობამ არ დაუშალა და გურკო თავს დაეცა მოხუცებულ პოლოვცევს, სახელმწიფო საბჭოს წევრს, რომლის მოკვლა და გაცარცვა განიძრახა. ეს მოხდა განაში, საფრანგეთში, რამოდენიმე წლის წინეთ.

გურკო პარიჟის სატუსაღოში ჩაამწყვდიეს. მის სანახავათ მოვიდა მეორე გურკო, ლიდვალის მეგობარი-მხარხველის ციხიდან წასვლა და მისი დატუსაღებული ძმის სიკვდილი თითქმის ერთ და იმავე დროს მოხდარა.

პარიჟის პრესა, თურმე, ერთხმათ ამტკიცებდა, გურკომ თავი ციანისტიკალით მოიწამლა მისთვის, რომ თავისი ძმის მაღალი ჩინი სირცხვილისგან დაეფარა, რაიცა უსათუოთ მოხდებოდა, თუ საქმე გარჩევამდი მივიდოდა სასამართლოში.

თავი კი მოიწამლა, მარა საწამლავი ვინ მიუტანა?

მაშინ, როდესაც გურკო, რომელსაც ხელიც და ფეხიც ცოდვებში აქვს ჩაფლული, არხეინათ დასეირნობს, ინჟინერი მენდელსონი ციხეში მოკლეს.

ის იყო რკინის გზის სამსახურში. უბედური შემთხვევა მოუვიდა და ხელ-ფეხი მოსჭრეს.

გაზეთებით ვაჭრობა დაიწყო, და ასე არჩენდა ცოლს, ორ შვილს და თავის თავს. 1905 წლის ოქტომბერში იუმორისტული ჟურნალი გამოსცა. ერთერ-

თი წერილის გამო პასუხისგებაში მისცეს 129 სტ. მაღით და ციხეში ჩასვეს.

სიკვდილის წინ ანდერძი დატოვა ორი გვირგვინი დამადგვითო ზედწარწერით: ერთზე „любилъ и страдалъ“, მეორეზე—„жилъ и страдалъ“.

## უცხოეთი.

**ინგლისი.** ახლო მომავალში მოსალოდნელია ინგლისში დიდი გაფიცვა: რკინის გზებზე მსახურთა კავშირის სეკრეტარმა, დეპუტატმა ბელმა, წერილით მიმართა რკინის გზების პატრონთ კომპანიებს, ოფიციალურათ იცნონ ჩვენი კავშირიო, და იმის გასასხვავებლათ, თუ რა აზრი აქვს ამ მოთხოვნას და რა სწადიათ მუშებს, ცალკე კომისია დანიშნეთო. ეს მალიან იუცხოვეს კომპანიის წარმომადგენლებმა: ჩვენ რომ სინდიკატი ვიცნოთ, მუშათა კავშირი ჩვენი საქმეების მართვა-გამგეობაში ჩაერევაო. ამის გამო ახლა მსახურთა შორის პლებისციტს აძლევენ გაკითხვით, თუ არაო. თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს სინდიკატი,—ეს გამოირკვევა 15 ოკტომბერს. კავშირში შედის ასი ათასი კაცამდე.

**გერმანია.** ანარქო-სოციალიზმის თეორეტიკოსი, დ-რი ფრიდბერგი, გერმანიის სოც.-დემ. პარტიიდან გამორიცხეს. სამედიატორო სასამართლოს, რომელმაც ეს დაადგინა, შეადგენდენ კარლ კაუცკი, ლეგინი და შტატგაგენი. მათ რეზოლიუციაში ნათქვამია: „საფუძველი ანარქო-სოციალიზმისა იგივეა, რაც ანარქიზმისა. თუ ფრიდბერგი იღებს ამ საფუძველს, ამით ის თვითონ დგება ს.-დ. პარტიის გარეშე. ჩვენ გვწამს ფრიდბერგის ღვაწლი პროლეტარიატის წინაშე, კაფასებთ იმის პირად ღირსებებს და მლიერ ვწუხვართ, რომ მასთან კავშირი უნდა გავწყვიტოთ,—მაგრამ სასამართლო იძულებულია განაცხადოს, რომ ფრიდბერგი არ არის ს.-დემოკრატი და დღეიდან არ შეუძლია ს.-დ. პარტიის წევრათ ირიცხებოდეს.“

გერმანიის სასამართლომ წელიწადნახევარი ციხე გადუწყვიტა ლიბკნეხტს ვითომდა სახელმწიფოს ღალატისთვის. ეს ღალატი გამოიხატა მხოლოთ იმაში, რომ ლიბკნეხტის წიგნში ერთ ადგილას ნათქვამია, ჯარში სოციალისტური პროპაგანდა უნდა შევიტანოთო.

**ავსტრო-უნგრეთი.** უნგრეთის პარლამენტის გახსნის დღეს, 27 სეკტემბერს, უნგრეთის მუშებმა, საყოველთაო საარჩევნო უფლების მოთხოვის ნიშნათ, გამართეს დიდებული დემონსტრაცია.

ყველა ქარხნები, ფაბრიკები, სასტუმროები, მაღაზიები და დუქნები დაკეტილი იყო. დილის 9 საათიდან მუშებმა იწყეს დანიშნულ ადგილზე თავის მოყრა. ათის ნახევარზე ბაირაღებით ხელში გაემართენ პარლამენტისკენ. ყველა დარგის მუშებს თავისი საკუთარი მუზიკა მიუძღოდა წინ. მონაწილეობას იღებდენ დიდი და პატარა, ქალი და კაცი. ბევრი სახლების ბალკონებზე გამოფენილი იყო ბაირაღები ზედწარწერით: „გაუმარჯოს საყოველთაო საარჩევნო უფლებას“-ო. როცა მიუახლოვდენ პარლამენტს, რომელსაც ირგვლივ პოლიცია ერტყა, მუშებმა ამოირჩიეს დეპუტაცია. ამ დეპუტაციამ პარლამენტის პრეზიდენტს გადასცა მუშების პეტიცია. ცოტა ყოყმანის შემდეგ პრეზიდენტმა მიიღო პეტიცია და დაპირდა, პარლამენტს გადავცემო. შემდეგ ამისა მუშებმა გამართეს მიტინგი, რომელსაც 200 ათას კაცზე მეტი დაესწრო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. კოხრეიძე.

განცხადება.

მე მაქვს მოწდობილი

ჭიათურაში

შავი ქვისა და პლატფორმების

აყიდვა.

მსურველთ ვთხოვ მომმართონ ამ ადრესით: ჭიათურა

დიმიტრი გალდავა.

ყოველ-კვირეული

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ცისკარი“

იყიდება შემდეგ ადგილებში:

1. თფილისში—ვორონცოვის ხიდზე—კიოსკში.
2. „ —„ჩვენი გზის“ რედაქციაში
3. „ — და მეგაზეთეებთან.
4. ბაქოში—საკომისიო კანტორა გ. წულუკიძის და ვ. გაბუნიასი.
5. ჭიათურაში—კირილე მოსეშვილთან.
6. ყვირილაში—მ. გაჩეჩილაძის წიგ. მაღაზიაში
7. სამტრედიაში—მმ. კოხრეიძეებთან.
8. სენაკში—წიგნის მაღაზია „სინათლეში“.
9. ფოთში—იოს. კოხრეიძესთან.
10. ტყიბულში—მ. კბილაძესთან.
11. ხონში—ა. მებუკის წიგნის მაღაზიაში.
12. ნაოლალევში—პ. ჭალაგანიძესთან
13. ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთში“.
14. ბაღდათში—ს. ხითაროვთან.
15. ბათუმში—მ. კალანდაძესთან.
16. ჩოხატაურში—წიგნის მაღაზია „სინათლეში.

ი. კილაძისა და ი. ხელაძის სტამბა ქუთაისში.